

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
კვლევის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი



თბილისი. დეკემბერი. 2005

№3

3. ქართული პოლიფონიის დაცვა  
და განვითარება - იუნესკოს  
ზრუნვის საგანი
7. საქართველოს ეთნომუსიკა 2005
10. ახალი სანოტო კრებულისა და  
ახალი ანსამბლის პრეზენტაცია
12. საქართველოს ფოლკლორის  
ეროვნული დათვალიერება-  
ფესტივალი 2005-2006
13. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ  
„სინათლის“ 80 წლის იუბილე
15. ვოკალური მრავალხმიანობის  
გავრცელება მსოფლიოს  
ტრადიციულ მუსიკალურ  
კულტურებში
19. ქართველი ეთნომუსიკის-  
მცოდნები. გრიგოლ ჩხილაძე
22. ფოლკლორული ექსპედიცია  
საგარეჯოს რაიონში (კახეთი)
24. ფოლკლორული ექსპედიცია  
მესხეთ-ჯავახეთში
26. ფოლკლორული ექსპედიცია  
სელგაჩაურის რაიონში (აჭარა)
28. „შენი სტილი უნდა გქონდეს.  
გილაცას რო დააჯავრო და  
მიამსგავსო, ეს ნამდერი არ არი“  
ინტერვიუ ცნობილ ლოტბარ  
ანდრო სიმაშვილთან
32. ერთი ქართული ხალხური  
სიმღერა. „ვახტანგური“



ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ,  
ქართულად და ინგლისურად,  
იუნესკოს მხარდაჭერით

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო ქონსერვატორიის ტრადიციული  
მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2006

**ISSN 1512-2883**

**რედაქტორები:**  
რუსულან წურწუმია,  
თამაზ გაბისონია

**მთარგმნელები:**  
მაია კაჭაჭიშვილი,  
პლეიიტონ პარი

**დიზაინერები:**  
ნიკა სებისკვერაძე,  
გიორგი კოკილაშვილი

**კომპ. უზრუნველყოფა:**  
თამაზ გაბისონია  
კახა მაისურაძე

**სტამბა:** „ჩოხი“

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.  
ტელ: (+995 32) 2998953, ფაქს: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: polyphony@polyphony.ge; polyphony@conservatoire.edu.ge;

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

# ქართული პოლიფონიის დაცვა და განვითარება - იუნისპონს ზრუნვის საგანი

ქართული მრავალხმიანობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება იუნისპონს არაერთხელ გამოუხატავს. 1977 წელს დედამიწიდან გალაქტიკაში გაიგზავნა ჩვენი ციკლიზაციის ყველაზე ნიშანდობლივი ჟღერადი მოვლენები. ამათგან ერთ-ერთი ქართული მრავალხმიანობის შესანიშნავი ნიმუში „ჩაკრული“ იყო. 2001 წელს კი, ობოროც ცნობილია, იუნისპონს ქართული პოლიფონია, მსოფლიოს სხვა განსაკუთრებულ მოვლენებთან ერთად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმენებულ ძეგლად გამოაცხადა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მრავალხმიანი სიმღერა-გალობა ქართველებისათვის საუკუნეების მანძილზე იყო მათი ეროვნული იდენტობის ნიშანი და საკუთარი თვითმყოფადობის სიმბოლო, გასაკვირი არაა, რომ იუნისპონს ასეთ აღიარებაზე გამოძახილმა საქართველოშიც არ დააყოვნა და 2002 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმი მოეწყო.

ჩვენს სიმპოზიუმს გაუმართდა – მასზე დასასწრებად იუნისპონს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სეციის დირექტორი ქ-ნი ნორიკო აიკავა და კოორდინატორი ქ-ნი ანაკიტ მინასიანი გვეწვივნენ. სიმპოზიუმი თავისი სამეცნიერო სესიებითა და საკონცერტო პროგრამებით ქართული სიმღერა-გალობის ნამდვილ ტრიუმფად იქცა, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სტუმრებზე. მერე მოვლენები ელვისებურად განვითარდა: სიმპოზიუმის მონაწილეების რეკომენდაცია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მსარდაჭერის შესახებ, იუნისპონსი პროექტის წარდგენა, იაპონიის საკელმოქმედო ფონდის Funds-in-Trust-ის გამოხმაურება ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების იუნისპონს პროგრამის დაფინანსებაზე...



## ტმპსც-ის ხელმძღვანელი რუსულია წურწუმია

ასე დაიწყო 2003 წელს საქართველოში იუნისპონს ყველაზე ძვირადდირებული სამწლიანი პროგრამა, როთაც ამ ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ ნიშანი მისცა ქართულ სახელმწიფოს, რომ ქართული მრავალხმიანობა მსოფლიოში გამორჩეული ფენომენია, რომელიც დაცვას, განვითარებას – ერთი სიტყვით, ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს. ეს ასეც ჩაიწერა საქართველოს მთავრობასა და იუნისპონს შორის ამ პროექტთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებაში.

პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგებოდა - პროგრამით გამოყოფილი თანხის ერთი ნაწილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას გამოეყო ახლადდაარსებული კვლევითი ცენტრის საჭირო აპარატურით აღსაჭურვად და კვლევითი სამუშაოების საწარმოებლად, ხოლო მეორე – ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრს საქართველოს 7 რეგიონში სალოგბარო სკოლების დასაფინანსებლად და სემინარების ჩასატარებლად.

ამდენად, პროგრამა, ერთი მხრივ, ქართული მრავალხმიანობის მეცნიერულ შესწავლას ემსახურებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ცოცხალი ტრადიციის გაგრძელებას.

მინდა მოკლედ გიამბოთ, რა გააკეთეს ქართველმა ეთნომუსიკისმცოდნებმა ამ პროექტის ფარგლებში.

პროგრამა ეტაპობრივად ხორციელდებოდა. მისი სამი კონტრაქტიდან პირველით გამოყოფილი თანხა მთლიანად აუდიოაქსესუარებით აღჭურვილი კომპიუტერების, საექსპერიციო ხმის ჩამწერი ტექნიკისა და სიმპოზიუმების ჩასატარებლად აუცილებელი სხვადასხვა სახის პროექტორების შეძენაზე დაიხარჯა.



### **ქ-ნი ნორიკო აიგავა 0 უნშებო-დან (მარცხნივ) I სიმპოზიუმზე**

სხვათა შორის, ამ აპარატურის ათვისება არც ისე აღვილი საქმე აღმოჩნდა. თავის დროზე ქართველ ფოლკლორისტებს თანამედროვე ტექნიკასთან ურთიერთობის ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა 1997 წელს ფონდ "ლია საზოგადოება საქართველოს" დახმარებით მოპოვებული ერთადერთი კომპიუტერით მოუხდათ. მაგრამ იუნესკოს მიერ შეძენილი ახალი აპარატურის რაოდენობა და ხარისხი გვავალდებულებდა ცენტრის ყოველი თანამშრომელი გამხდარიყო ამ ტექნიკის კვალიფიციური მომხმარებელი. ამას კი არამარტო მათი, არამედ მასწავლებლების დიდი ძალისხმევაც დასჭირდა.

სამაგიეროდ, შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს ქართული მრავალხმიანობის მკვლევრებს ამ თანამედროვე ციფრული აპარატურის მოხმარების პრობლემები აღარ გააჩნიათ.

იუნესკოს პროექტის დახმარებით შესაძლებელი გახდა კონსერვატორიას საველესაექსპედიციო სამუშაოების დიდი ხნით დავიწყებული პრაქტიკაც აღედგინა. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, ჩვენს ეთნომუსიკის-მცოდნეებსა და სტუდენტებს ერთხელაც არ მისცემიათ ექსპედიციის მოწყობის შესაძლებლობა. ფოლკლორისტი კი, კაბინეტში მუშაობის როგორი შესაძლებლობაც არ უნდა ჰქონდეს, თავს მხოლოდ მაშინ გრძნობს ბედნიერად, როცა ფოლკლორთან შეხება ყოფაში, ანუ მისი არსებობის ბუნებრივ გარემოში აქვს. ამ ორწელიწადნახევარში 10 ექსპედიცია ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში - სვანეთსა და კახეთში, თუშეთსა და გურიაში, მესხეთსა და აჭარაში.



### **ტკმცის წევრები თათბირზე**

უნდა ითქვას, რომ ფოლკლორისტებს მოვლილი აქვთ საქართველოს ყველა კუთხე-კუნძული, მაგრამ ფოლკლორი ამოუწურავია, ფოლკლორული პროცესი განუწყვეტლივ გრძელდება და გარდა იმისა, რომ მეცნიერები დღესაც კი ახერხებენ ახალი ნიმუშების მოძიებას, ეთნოსის ცხოვრების დინამიკაზე დაკვირვების საუკეთესო საშუალება უკვე ნაცნობი ნიმუშების ახალი ინტერპრეტაციების ჩაწერაა.

ამიტომ არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ყოველი ახალი ექსპედიცია.

შემდეგ ხდება ამ ექსპედიციებში მოპოვებული მასალის არქივირება, კომპიუტერული დამუშავება და მონაცემთა ბაზაში შეტანა. თბილისის კონსერვატორიის საარქივო ფონდი ინახავს უმდიდრეს მასალას – ეს არის ლილგაკებზე 30-40-იან წლებში ჩაწერილი და ჯერაც გაუშიფრავი საექსპედიციო მასალა, აგრეთვე 50-80-იანი წლების ჩანაწერები მაგნიტოფირზე, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ექსპედიციების შედეგადაა მოპოვებული. კონსერვატორიამ იუნესკოს პროგრამის წყალობით დაიწყო ლაზერული დისკების გამოცემა სერიით „თბილისის კონსერვატორიის აუდიოარქივიდან“. ეს სერია გაგრძელდება მანამ, სანამ ფონდში არსებული მასალა ამის შესაძლებლობას მოგვცემს. შეიძლება ძველი ჩანაწერებისა და ახალი საექსპედიციო მასალის მონაცვლეობით გამოცემაც. პირველ დისკზე 1952 წლის კახეთის საექსპედიციო მასალა შევიდა. ეს არის აკადემიური გამოცემა, რომელსაც ახლავს მეცნიერული კომენტარები.

პროექტის უმნიშვნელოვანები ნაწილი გახლდათ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის ქართულ-ინგლისურ ენოვანი ვებგვერდის შექმნა – თანამედროვე სამყარო ხომ წარმოუდგენელია ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების გარეშე, ინფორმაცი-

ის მისაღებად, კი, ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ინტერნეტს მიმართავს. ამიტომ უკანასკნელ ხანს თვითდამკვიდრების ყველაზე გაფრცელებული საშუალება ვებ-გვერდია – თუ ამისთვის საჭირო სახსრები გაგაჩნიათ, შეგიძლიათ თქვენი თავი მხოლიოს წარუდგინოთ. გნებავთ, მიიღოთ ინფორმაცია ქართული პოლიფონის შესახებ? ინებეთ, თქვენ მოიპოვებთ მას, თუ შეხვალთ ინტერნეტგვერდზე - [www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge) აქ არის სხვადასხვა სახის ცნობები ქართული ხალხური მუსიკის შესახებ – ნახავთ მის ზოგად დახასიათებას, გაეცნობით დიალექტებს, შესრულების თავისებურებებს, შესწავლის ისტორიას, საშემსრულებლო კოლექტივებს, ქართულ სასულიერო მუსიკას, გარდა ამისა, მიიღებთ ინფორმაციას ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრის დაარსების წინაისტორიისა და ტრადიციული მრავალხმიანობის სიმპოზიუმების შესახებ – ერთი სიტყვით, ვებ გვერდი დააკმაყოფილებს იმათ ცნობისმოყვარეობას, ვისაც ქართული ტრადიციული მუსიკალური კულტურა აინტერესებს. აქვეა განთავსებული ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის მონაცემთა ბაზის ინტერნეტ-გვერსიაც, რომლის შექმნა იუნესკოს პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო. ცხადია, არსებობს კიდევ უფრო სრული კომპიუტერული მონაცემთა ბაზაც, რომელიც თანდათან გამდიდრდება – ჯერ იგი საქართველოში და კავკასიაში მცხოვრები ხალხების მრავალხმიანობის ნიმუშებით შეივსება, სამომავლოდ კი მხოლიოს ხალხების მრავალხმიანობის მონაცემთა ბაზად უნდა გადაიქცეს.

სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინ მნელი წარმოსადგენი იყო, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვექნებოდა მსგავს პროექტზე გვემუშავა. ქართული მუსიკალური ფოლკლორის მონაცემთა ბაზის გასაკეთებლად ჯერ კონცეფცია, შემდეგ კი პარამეტრები შემუშავდა. მაგალითად, ჩვენ ვწერთ – „ხერტლის ნადური“ და ვიღებთ მთელს ინფორმაციას მის შესახებ – რა უანრის სიმღერაა, რომელი კუთხის, შემსრულებლების რა შემადგენლობისთვისაა განკუთვნილი, და, რაც მთავარია, შეგვიძლია ვნახოთ ვიდეო-მასალა და მოვისმინოთ კიდეც. ცხადია, ამის შესაძლებლობა მხოლოდ ახლა მოგვეცა, ამიტომ ნიმუშები ვიდეო-მასალით თითო-ოროლა. 0 უნსკოს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის ყველა ასპექტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქართული მრავალხმიანობის

კვლევის სამომავლო პერსპექტივებისათვის. ვებგვერდი და მონაცემთა ბაზა მსოფლიოს აცნობს ქართულ პოლიფონიას – ე.ი ზრდის მისით დაინტერესებულთა რიგებს ქართული მრავალხმიანობის პოტენციურ შემსწავლელებს. ასეთები კი, საბედნიეროდ, მრავლად არის როგორც მუსიკოსთა, ისე, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შორის.

ქართულ სიმღერას პრაქტიკულად საქართველოს ფარგლებს გარეთ მრავალი ადამიანი სწავლობს, ჩვენი პლანეტის თითომის ყველა კონტინენტზე – ავსტრალიაში, ამერიკაში, ევროპასა და აზიაში. ქართულ სიმღერას ჯერ მხოლოდ აფრიკის კონტინენტი არ დაუპყრია. პოდა, დიდია მათი დაინტერესებაც ამ სიმღერის თავისებურებებში გარკვევისადმი.

სწორედ ამან გვაფიქრებინა, ინგლისურ ენაზე გამოცემულიყო ქართველ მოაზროვნეთა და, მათ შორის პირველ ქართველ მუსიკოს-მცნიერთა ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერის მელოდიების, კილო-პარმონიული თავისებურებებისა და მრავალხმიანობის ბუნების შესახებ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პერიოდული გამოცემის – ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენის დაარსება, რომელიც 6 თვეში ერთხელ გამოიცემა ქართულ-ინგლისურ ენებზე.

ახლა თქვენს წინაშე სწორედ ამ ბიულეტენის მესამე ნომერია.

ცხადია, ჩვენ ვზრუნავთ იმაზეც, რომ ჩვენს მიერ გამოცემული ლიტერატურა და, მათ შორის, ბიულეტენები, მკითხველამდე მივიღეს. ძალიან გვიხარია, რომ კარგი გამოხარება მივიღეთ წიგნზეც და ბიულეტენზეც,



ტმპსტ-ის ბულეტინი გამოცემები

მათ შორის საზღვარგარეთიდანაც. დიდად ვაფასებთ ისეთი მეცნიერების აზრს, როგორიც მსოფლიოში ცნობილი ეთნომუსიკისმცოდნები არიან – ბ-ნ დიტერ ქრისტენსენი, ტიმ რაისი, ჩვენი დიდი გულშემატკივარი და მეგობარი იზალი ზემცოვსკი და სხვები.

ვველაზე მეტად კი ვამაყობთ ქართული ხალხური მუსიკალური ჟემოქმედების სახელმძღვანელოთი. ქართული ფოლკლორი კონსერვატორიაში თითქმის დაარსებიდან ისწავლება, ფოლკლორისტიკაც მის კედლებში განვითარდა, აյ ასწავლიდნენ ქართული ეთნომუსიკისმცოდნეობის კორიფეები – დიმიტრი არაგიშვილი, გრიგოლ ჩხილაძე, შალვა ასლანიშვილი, ოთარ ჩიჭავაძე, მინდია უორდანია, კახი როსებაშვილი, ქუკური ჭოხონელიძე, ედიშერ გარაფანიძე. და მიუხედავად ამისა, ქართული ფოლკლორის სახელმძღვანელოს შექმნას, როგორც ჩანს, ამოცანის სირთულის გამო, ყველა სამომავლოდ დებდა.

07ნებსკოს პროგრამა ამ საქმის დიდი მორალური სტიმული გახდა, რამაც მის შემდგენლებს, მთელს სარედაქციო ჯგუფს მისცა ძალა მათი წინამორბედების მიერ დაგროვილი ცოდნა შეეკრაო და ლაპონურად გადმოეცათ სახელმძღვანელოში, რომელიც კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის არის განკუთვნილი. მას აქვს სანოტო და მისი იდენტური აუდიო დანართი.

ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ამ სახელმძღვანელოს თარგმნაც ინგლისურ ენაზე, რადგან ქართული ფოლკლორით დაინტერესებული უცხოელი სპეციალისტებისაგან, და მოყვარულებისაგან ერთგვარი დაკვეთაც მივიღეთ ასეთი წიგნის მოსამზადებლად. ცოტა რთულადა გვაქს მისი გამოცემის საქმე – ამისთვის საჭირო თანხები პროექტმა ვეღარ დაიტია.

07ნებსკოს სამწლიანი პროექტი უდიდესი მხარდაჭერა იყო ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრისათვის. სახელმწიფოს მიერ მუსიკალური ფოლკლორის კვლევაზე გამოყოფილი მცირეოდენი, სიმბოლური თანხების პირობებში ამ პროექტმა ფაქტობრივად შესაძლებლობა მოგვცა გაგვეკეთებინა იმდენი, რაც არ გაკეთებულა უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში.

ვერ ვიტყვით, რომ ქვეყანა არ ცდილობს – სწორედ სახელმწიფოს დაფინანსებით ჩატარდა ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმი 2002 წელს. 2004

წლის სიმპოზიუმის ორგანიზებაში კი საქართველოს მთავრობასთან ერთად იუნესკომაც მიიღო მონაწილეობა. ამ სიმპოზიუმებმა დაგვარწმუნეს, რომ ქართული ხალხური სიმღერისადმი საყოველთაო ინტერესი მსოფლიოში არ იყლებს. ამაზე მეტყველებს ის გამოხმაურებებიც, რომლებიც უკვე გვაქვს 2006 წლის III სიმპოზიუმში მონაწილეობის მსურველთაგან.

პროექტი დიდად დაეხმარა ქართველ ეთნომუსიკისმცოდნებს ტრადიციული მრავალხმიანობის მეცნიერული კვლევის ახალ საფეხურზე აყვანაში, ახლა საქმე ჩვენზეა - სამომავლო პერსპექტივების გარანტი ის ვალდებულებები უნდა გახდეს, რომელიც ქართულმა სახელმწიფომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით იტვირთა, როცა პირობა დადო, რომ ყველაფერს იღონებს საკუთარი უნიკალური ვოკალური პოლიფონიის – მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრის გადასარჩენად.

ტრადიციული მრავალხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა იუნესკოს მხარდაჭერით, ქართული მრავალხმიანობის დაცვისა და განვითარების პროგრამის ფარგლებში. ეს პროექტი კიდევ ერთი გამოხატულება იყო ქართული სიმღერისადმი ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის განსაკუთრებული დამოკიდებულებისა. ეს იყო ისტორიული პროექტი, რომელმაც ქართული ეთნომუსიკისმცოდნებისა საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა. ამის დასტური იყო II სიმპოზიუმიც, რომელიც ორგანიზებული იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევით შესაძლებელი გახდა ამ ისტორიული პროექტის განხორციელება. დიახ, ისტორიულისა, რადგან მან ქართული ეთნომუსიკისმცოდნებისა საერთაშორისო ცენტრების მიერ და ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით.

დასასრულ, მინდა კიდევ ერთხელ დიდი გამოვხატო დიდი მაღლიერება 07ნებსკოსა და იაპონიის მთავრობის მიმართ, რომელთა ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ამ ისტორიული პროექტის განხორციელება. დიახ, ისტორიულისა, რადგან მან ქართული ეთნომუსიკისმცოდნებისა საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა.

# საქართველოს ეთნომუსიკა 2005

**24 მარტს** ანსამბლი „რუსთავი“ თბილისის ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში მაყურებლის წინაშე წარდგა.

**12-13 მაისს** ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ჩამდინარა „ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის I ფესტივალი“. სამეცნიერო კონფერენციის გარდა გაიმართა ფოლკლორული მუსიკის საღამოები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ანჩისხატის ტაძრის გუნდმა, ანსამბლმა „მზეთამზე“, საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბასიანმა“ და საპატრიარქოს სამგალობლო ცენტრთან არსებულმა ქალთა ანსამბლმა, რომლისთვისაც ეს პირველი საჯარო გამოსვლა იყო.

**23 მაისს** ანჩისხატის ტაძრის გუნდის წევრებმა: მალხაზ ერქვანიძემ, დავით შეღლიაშვილმა, ლევან ვეშაპიძემ და ვასილ ცეცხლაძემ კონცერტი ჩამდინარეს გერმანიის ქალაქ გოსექში. კონცერტი ქალაქის ძეველ სასახლეში გაიმართა.

**25 მაისს** იგივე ანსამბლის წევრებმა მონაწილეობა მიიღო გერმანიის ქალაქ მარბურგში ჩამდინარებულ ფესტივალში „a cappella“.

მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ანჩისხატის ტაძრის გუნდისა და ჯგუფ „ძველი კილოების“ დანარჩენი წევრები და გასტროლები გაგრძელდა ლატვიაში. კონცერტები გაიმართა 28 მაისს რიგის დომის (დომისკი) საკათედრო ტაძარში და 30 მაისს ქალაქ ლიეპაიაში.

**ივნისში** ანსამბლი „რუსთავი“ გასტროლებით გაემგზავრა კორეასა და იაპონიაში. 27 ივნისს ქ. ნაგოიაში შედგა გაეროს 60 წლისთა-



ანსამბლი „ბასიანი“

ვისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც მხოლოდ ანსამბლი „რუსთავი“ იყო მიწვეული. 22 სექტემბერს ქ. ნაგოიაში საერთაშორისო ბაზრობა-2005-ის დახურვაში მონაწილეობდნენ „რუსთავი“ და სუხიშვილების ქართული ნაციონალური ბალეტი.

**ივლისში** კიევში ჩატარდა ფესტივალი „ტებაი ა ს ძე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბასიანმა“ (ხელმძღვანელი გიორგი დონაძე). ანსამბლმა ქართული ხალხური სიმღერით დაინტერესებულ პირთათვის რამდენიმე მასტერკლასი ჩამდინარა. ფოლკლორულმა კონცერტებმა კი ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ ნამდვილ დღესასწაულად იქცა მსმენელისთვის.

**20 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე** ანსამბლმა „რუსთავია“ კონცერტები ჩამდინარა პოლონეთის რამდენიმე ქალაქში (კრაკოვი, ვარშავა, ვროცლავი და სხვა) და მონაწილეობა მიიღო ბილბაის (City) მუსიკალურ ფესტივალში.

ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „თუთარჩელა“ ზაფხულში მონაწილეობა მიიღო სარფში გამართულ დღესასწაულ-ზეიმზე "კოლხობა". განსაკუთრებით დიდი ემოციით და სიუვარულით მიიღო ადგილობრივმა მსმენელმა ანსამბლის მიერ შესრულებული ლაზური სიმღერები.

ანსამბლ „თუთარჩელას“ შემოქმედებით და რეპერტუარით დაინტერესდა გერმანელი რუსისორი რუთ ოლშენი, რომელმაც 2004 წლის ივნისში გადაიღო დოკუმენტური ფილმი ქართული ხალხური კულტურის შესახებ (სიმღერა-ცეკვა) – „პაერივით აუცილებელი“. ამ ფილმში დიდი ადგილი ეთმობა ანსამბლ „თუთარჩელას“ ყოფით და შემოქმედებით ცხოვრებას და მისი ხელმძღვანელის თამარ ბუათის შემოქმედებით პორტრეტს. ფილმის პრემიერა წარმატებით შედგა 2005 წლის ოქტომბერში, ქ. თბილისში, კინოთეატრ „ამირანში“.



ანსამბლი „თუთარჩელა“

**30 სექტემბერს** ფესტივალის, „შემოდგომის თბილისი“, ფარგლებში საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის დარბაზში შედგა ყოვლაწმოდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის (ხელმძღვანელი სეიმონ ჯანგულაშვილი) და საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლის (ხელმძღვანელი გიორგი დონაძე) კონცერტი, სადაც შესრულდა როგორც საგალობლები, ასევე ხალხური სიმღერებიც.

**13 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე** ანსამბლმა „რესთავმა“ საგასტროლო ტურნე ჩატარა ნიდერლანდების 21 ქალაქში.

**14 ოქტომბერს** კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ანსისხატის ტაძრის გუნდის საანგარიშო კონცერტი.

**15 ოქტომბერს** ანსისხატის ტაძრის გუნდის (მალხაზ ერქნავიძის) ორგანიზაციონით ჩატარდა ფოლკლორული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა მომძერლებმა. კონცერტის ბოლოს კი თბილისელი მსმენელის წინაშე პირველად წარდგა საპატრიარქოს სამგალობლო ცხენტრთან არსებული ქალთა ანსამბლი.

**17 ოქტომბერს** ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში შედგა ფოლკლორულ ანსამბლ „თბილისის“ (ხელმძღვანელი რობერტ გოგოლაშვილი) 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

**ოქტომბერ-ნოემბერში** ანსისხატის ტაძრის გუნდმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთოვანი საკონცერტო ტური გამართა. ეს მისი პირველი ვიზიტი იყო ოკეანის გაღმა.

გუნდის მასაპინძელი გახდდათ ორგანიზაცია „ვილიჯ ჰარმონი“, რომლის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან ფატი კაილერთან ანსისხატელები თბილისის სახ. კონსერვატორიაში გამართული ტრადიციული მრავალხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმის მსვლელობის პერიოდში დამეგობრდენენ. ერთი თვის განმავლობაში ანსისხატის ტაძრის გუნდმა შემოიარა ცამეტი შტატი, სტუმარი იყო დიდი ქალაქებისა, როგორიცაა: ნიუ-იორკი, ბოსტონი, ფილადელფია, ჩიკაგო, ბლუმინგტონი, ვაშინგტონი და სხვ. ტურის განმავლობაში სულ გაიმართა 24 კონცერტი. მათ შორის, ზოგ შემთხვევაში – ე. წ. ლექცია-კონცერტი (უილიამსის უნივერსიტეტი, ბლუმინგტონის უნივერსიტეტი, კონგრესის ბიბლიოთეკა და სხვ). სტუდენტოთვის (ასევე სხვა მსურველთათვის) ტარდებოდა ქართული ხალხური სიმღერების შესწავლის პრაქტიკული მეცანეობები.



#### ანსისხატის ტაძრის ანსამბლი ამერიკაში საგასტროლო კონცერტზე

საკონცერტო მოგზაურობაში ანსისხატელებს დიდი დახმარება გაუწია ამერიკელმა ჯონ გრემმა, რომელიც ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის მიზნით ერთი წელი ცხოვრობდა საქართველოში და გაღობასთან ერთად ქართულ ენასაც (ამ მცირე დროისთვის) საკმაოდ კარგად დაეუფლა. ჯონ გრემს არა მხოლოდ გუნდის მეზოურიბა და მძღოლობა პქონდა დაუტული საქართველოს თავზე; იგი მოდერატორის ფუნქციასაც მშვენივრად ასრულებდა კონცერტებზე.

ამერიკელთათვის ქართული კულტურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიული ყოფის ვიზუალურად წარმოდგენას ხელს უწყობდა საარქივო ფოტოებისგან შემდგარი სლაიდ-შოუ, რომელიც ანსისხატის გუნდის მემკრის, ლუარსაბ ტოგონიძის მიერ იყო მოზადებული.

განსაკუთრებული ქმოცით ივსტორდა დარბაზები მაშინ, როდესაც კონცერტს ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები ესწრებოდნენ.

**24–26 ნოემბერს** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრმა ჩატარეს საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწყვო, მომავალი“.

სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღო 200-მდე მეცნიერმა, მათ შორის 40-მდე – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. სიმპოზიუმის თავმჯდომარე იყო უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, თანათავმჯდომარეები – მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. თამაზ გამყრელიდე და ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი აკად. დავით მუსხელიშვილი.



### **კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლი**

სიმპოზიუმის მუშაობა შვიდ სექციად წარიმართა. ბოლოს მოეწყო მრგვალი მაგიდა, რომლის თემა იყო „ქრისტიანობა აფხაზეთში“ (თანამედროვე პრობლემები).

მუსიკის მცოდნების სექციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: მაგდა სუხიაშვილი მოხსენებით „საღვთოსმსახურო საგალობლების ხმათა (იხოსთა) სემანტიკის შესწავლისათვის“; თამარ ჩხეიძე – „რვა მის სისტემა ჭრელთა ნუსხებში“; რუსულან ფიფია – „იოანე მიხნესის აღდგომის საგალობლები“; ნესტან სულავა – „საგალობლის ლიტურგიული, შემეცნებით-აღმზრდელობითი და ესთუტიკური მნიშვნელობა“; ეკატერინე ონიანი – „ამბროსი ნეკრესელი და მისი მნიშვნელობა ქართული ნეგმური სისტემის ისტორიაში“; მირანდა თოდეა – „ხეთა სიმბოლიკა X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში“; სიმპოზიუმზე მოხსენებით გამოვიდნენ, აგრეთვე, ტმპსც-ის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი რუსულან წურწუმია მოხსენებით „ქართული ტრადიციული საერო და სასულიერო მუსიკალური ცნობიერების ერთიანობის საკითხისათვის“ და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი ნინო მაისურაძე მოხსენებით „ქართული ჰიმნოგრაფია და ეთნიკური ცნობიერება“.

**21 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე** თბილისში სამუშაოდ იმყოფებოდა ვენის ფონოგრამარქივის ინიციერ-კონსელლტანტი ბ-ნი ფრანც ლეხლაბიტნერი. მის მიერ ჩამოტანილი აპარატის მეშვეობით შესაძლებელი გახდა აუდირებულიყო 500-მდე ლილვაკი, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ინახებოდა: სახელმწიფო არქივში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იუ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის,

კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმის, ბათუმის კულტურისა და ხელოვნების მუზეუმის არქივებში.

ფონოგრაფის ლილვაკებზე გაკეთებული ჩანაწერები XX საუკუნის I ნახევარს ეკუთვნის. ყველაზე ადრინდელი, კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის მიერ სოფ. როკაში (ჯავის რაიონი) გაკეთებული ჩანაწერი, 1910-იანი წლებით თარიღდება. იგი ინახება კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში. მრავალმხრივი კომპ. შალვა მშველიძის არქივი, რომელიც ამავე მუზეუმშია დაცული და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჩაწერილ მასალას მოიცავს. ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი შედგება პროფ. შალვა ასლანიშვილისა და პროფ. თამარ მამალაძის მიერ 1946-1952 წლებში ჩატარებული ექსპედიციების ჩანაწერებისაგან.

ლილვაკებიდან ჩანაწერების კომპიუტერში გადატანას ტექნიკურად ახორციელებდა ტმპსცის თანამშრომელი, ფიზიკოსი არჩილ ხარაძე. გადაწერის პროცესს თვალყურს აღვნებდნენ: ტმპსცის მეცნევერი მაია კაჭაჭიშვილი და კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის წევრები: დავით შუდლიაშვილი, თამაზ გაბისონია, მალხაზ ერქანიძე, ოთარ კაპანაძე, ქათევან მათიაშვილი და ნინო ნაკაშიძე, რომლებიც შეძლებისდაგვარად აფიქსირებდნენ საჭირო ინფორმაციას თითოეულ სიმღერაზე.

სამწუხაოდ, დაზიანების გამო შეუძლებელი გახდა ორმოციოდე ლილვაკის აუდირება, რომლებზეც (ანოტაციების მიხედვით) აღბეჭდილი იყო მები ერქომაიშვილების, ვარლამ სიმონიშვილის გუნდის და სხვათა ხმები...

**17 დაეჭმბურს** თბილისის ჭ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საქონცერტო დარბაზში ჩატარდა ხალხური მუსიკის საღამო (საშობაო კონცერტების სერიიდან). მონაწილეობდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ფოლკლორული ანსამბლი „ფესვები“, საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი „ბასიანი“, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ანსამბლი „ლამარი“. კონსერვატორიის სტუდენტთა ანსამბლისათვის კონკრეტული – ეთნომუსიკული ჰიმნისათვის წუმბაძე) ეს კონცერტი დებიუტი იყო.

**2005 წლის 25 დეკემბერს**, საქართველოს საპატრიარქოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის დოკვა-კურთხევით მოეწყო ანსამბლ „თუთარჩელას“ CD-ის პრეზენტაცია, რომელიც პატრიარქის სახელობის საერთაშორისო ფონდის დაფინანსებით გამოვიდა.

**ნინო ნაკაშიძე**

# ახალი სანოტო კრებულისა და ახალი ანსამბლის პრეზენტაცია

დღეს უკვე საყოველთაოდაა ცნობილი ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების – ამ უძველესი და უნიკალური საგანძურის ფასი. იუნის 2001 წ. ქართული პოლიფონიის მატერიალური კულტურის შედევრად აღიარებამ უმნიშვნელოვანესი ცვლილებები შეიტანა ეროვნულ ფოლკლორულ სივრცეში და განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოაქცია იგი. საქართველოს დედაქალაქში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დაარსებამ ხელი შეუწყო ამ სფეროში დაგროვილი პრობლემების თანდათანობით მოგვარებას (სერიოზული საკვლევაძიებო მუშაობა, შემკრებლობითი საქმიანობის ფართოდ გაშლა, ნოტირებული მასალის გამოქვეყნება, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა, სახალხო ლოტბარ-შემსრულებლებზე მოხვრაფიული ნარკვევების გამოქვეყნება და ა.შ.). უკვე გადაიდგა არაერთი საგულისხმო ნაბიჯი, თუმც სათქმელი და გასაკეთებელი კვლავაც ბევრია.

სულ ახლახან საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავჯდომარის ქ-ნ მანანა ახმეტელის ინიციატივით ნაციონალური მუსიკალური ფოლკლორის დიდი ქომაგის ავქსენტი მეგრელიდის არქივიდან ამოკრეფილი სიმღერების ახალი ქართულ-ინგლისურენოვანი ალბომის პრეზენტაცია და ერთდროულად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა ფორმლორული ანსამბლის დებიუტი შედგა. შშობლიური კულტურის გულშემატკიცარი მადლიერებით შეეგებნენ ამ საინტერესო ფაქტს.

როგორც ცნობილია, ავქსენტი მეგრელიდე XIX-XX საუკუნის გასაყარზე მოღვაწე მომღერალ-ლოტბართა: ძუგულის, სამუელ ჩავლეიშვილის, სანდრო კავსაძის, მმქინე ერქომაიშვილების, ვარლამ სიმონიშვილის, რემა შელეგიას, მიხა ჯილდურისა და სხვათა სახელოვანი კომორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა. გურული სიმღერის წიაღმი აღზრდილმა ავქსენტი მეგრელიდემ სიყმაწვილეშივე მოიხვეჭა სანაქებო მომღერალ-მგალობლის სახელი და ოცი წლისა უკვე სემინარიის მგალობელთა გუნდის რეგენტი გახდა. აქედან დაიწყო მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გასტანა. ქართული კულტურის დაუდალავი პროპაგანდისტის, ხალხურ სიმღერათა შემკრების, პედაგოგის, თეორიული ნარკვევების



ა. მეგრელიდის ალბომის პრეზენტაცია

ავტორის, სახალხო გუნდებისა და საკრავიერი ანსამბლების ორგანიზატორის, ლოტბარის, საექლესიო გუნდის რეგენტის, ხალხური ინსტრუმენტების პოპულარიზატორის, მეტონგურეთა ათეულობით ანსამბლის ხელმძღვანელის მოგვაწობა ნოვაციებით იყო აღმოჩნდილი (ქალ-ვაჟთა ოთხხმიანი მწყობრის შეკრება, შერქული საგუნდო მდერის ტრადიციის დანერგვა, მივიწყების პირას მდგომი ჩონგურის აღდგენა და მისი მასობრივი გავრცელება ხალხში, მეტონგურეთა მწყობრის გუნდთან გაერთიანება, ტერმინ „დასის“ შემოტანა და სხვა).

ავქსენტი მეგრელიდის უკველა დასი მის მიერვე ფიქსირებულ ნიმუშებს ასრულებდა. საარქივო ფინდში დაცულ სიმღერათა რიცხვი 300-ს აჭარბებს. მათ შორისაა ხალხური სიმღერის დიდოსტატების სამუელ ჩავლეიშვილის, ივლიანე კაჭალმაძის, ალექსანდრე მახარაძის, მმქინე ერქომაიშვილების, ერმალო სიხარულიდის, მელქისედეკ ნაკაშიძისა და სხვათაგან ჩაწერილი ვარიანტები.

ავქსენტი მეგრელიდეს ეკუთვნის ხალხურ სიმღერათა და ქალაქური მელოდიების დამუშავებანი, ასევე ახალი ფორმაციის სასიმღერო ნაწარმოებები, რომელთა სიტყვიერი ტექსტები საბჭოური ხანის იდეოლოგიას ეხმიანებოდა, ხოლო მუსიკალური – ძირძველ კილო-პარმონიულ თავისებურებებსა და ინტონაციურ ქარგაზე იყო დაფუძნებული.

აღნიშნული ალბომი, რომლის შემდგენელი მუსიკისმცოდნე ნატო მოისწრაფიშვილია, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრში, ამ უკანასკნელისავე ხარჯით დაიბეჭდა. კრებულს წინ უძველის ნატო მოისწრაფიშვილისა და რედაქტორის – ნატო ზუმბაძის წინასიტყვაობები. მასში თავმოყრილია ცნობილ ლოტბარ-მომღერლის მიერ შეკრებილ-ნოტირებული, ასევე ლოტბარობაში აპრობირებული ხალხური თუ დამუშავებული საარქივო მასალა. ტრადიცი-



### **კონსერვატორიის სტუდენტური ანსამბლის სადებიუტო კონცერტი**

ული სიმღერების გვერდით აქ შემოთავაზებულია ქალაქური და ახალფოლკლორული ნიმუშები, ხალხური და საკრავები. მეტად საყურადღებოა სიმღერის სახელწოდებასა და შექმნის ისტორიასთან, გავრცელების არეალთან, შესრულების წესსა და თავისებურებებთან, ხმების ფუნქციებთან დაკავშირებული შენიშვნები. კრებულში ასახულია ნოტირებისა და შემსრულებლობის დამახასიათებელი თავისებურებანი XX საუკუნის პირველ ნახევარში ერთი მოღვაწის მაგალითზე. ამდენად, მისი ისტორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება უდარა.

ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელება ავქსენტი მეგრელიძის მემკვიდრეთა – ვაჟის ავქსენტი მეგრელიძისა და რძლის ნატო მოისწრაფიშვილის დიდი მცდელობის, მათი თავდაუზოგავი ჯაფის შედეგია. გამოჩენილი ლოტბარ-მომღერლის ოჯახისათვის განსაკურებით ფასეული იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი ბურჯის ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილის მხერვალე თანადგომა. ასევე აღსანიშნავია ნატო ზუმბაძის (რედაქტორი), ლელა მაქარაშვილისა (კომპიუტერული უზრუნველყოფა) და მზია ტულუშის (მთარგმნელი) მიერ გაწეული შრომატევადი სამუშაო.

2005 წლის 11 ნოემბრის სამასსოვრო თარიღს ასევე უკავშირდება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლის „ნათლობა“, მისი პირველი ნაბიჯები. ამ უკანასკნელის შექმნის იდეა რვა თვის წინ დაიბადა და კონსერვატორიის რექტორაგის მხარდაჭერით განხორციელდა. მრავალრიცხოვან მსურველთაგან შემოლოდ 14 ახალგაზრდა – მათ შორის მომავალი დირიჟორები, მუსიკისმცოდნები, პიანისტები, ალტისტი და ერთიც მოყვარული მუსიკოსი შეირჩა. კონსერვატორიის ქართული ხალხური სამუშაო

შემოქმედების კათედრის რეკომენდაციით ახლად შექმნილი კოლეგივის ხელმძღვანელობა ნატო ზუმბაძეს დაევალა. ვინც მას კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ ნატო ხალხური შემოქმედების ნამდვილად დაუდალავი მსახური, თხემით ტერფამდე ფოლკლორისტია. იგი ნიჭიერი, მრავალმხრივი შესაძლებლობების მქონე, თუ შეიძლება ითქვას, სინთეზური ტიპის პროფესიონალია – თჯორეტიკოსი და პრაქტიკოსი, ორგანიზატორი, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნება. ნ. ზუმბაძის საქმიანობაში უნარიანადა შეთავსებული სერიოზული კალებითი, ინტენსიური საველასაექსპედიციო, წარმატებული საშემსრულებლო, პედაგოგიური თუ საგუნდო კოლეგივების ხელმძღვანელის საპასუხისმგებლო ფუნქციები. მის სამეცნიერო პროდუქციაზე თვალის გადავლებაც კი ცხადყოფს ინტერესთა, თუ საკვლევაძიებო თემატიკის მრავალფეროვნებას. შემოქმედებითი აქტივობის დამადასტურებელია აგრეთვე მისი მოხსენებები არაერთ კონფერენციასა თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე.

ანსამბლ „მზეთამზეს“ ერთ-ერთ წამყვან სოლისტს, საუმაწვილო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია „ამერიმერის“ ერთ-ერთ მუსიკალურ ხელმძღვანელს კარგა ხანია ავტორიტეტული პედაგოგ-ლექტორის რეპუტაცია აქვს. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კი მისი ხელმძღვანელობით ამერ-იმერის სხვადასხვა კუთხეში ჩატარებულ ექსპედიციებში იგი მარგალიტის მაძიებლის ჟინით აგროვებს ხალხში გაფანტული ნაცნობი სიმღერების ახალ-ახალ ვარიანტებსა, თუ ჯერაც მიუგნებელ მუსიკალურ ნიმუშებს.

ჩემდაუნებურად მახსენდება ტიციან ტაბიძის ცნობილი პოეტური ფრაზის („ლექსები იყო მისი საგზალი“) პერიფრაზი. თუ ზოგიერთი ამას მიკერძოებად, ან მეტაფორულ გაზვიადებად ჩამითვლის, ბევრი დამემოწმება, რომ ამ ადამიანის საგზალი და ცხოვრების მეგზური, უფრო მეტიც – არსებობის აზრი – სწორედ ხალხური სიმღერაა. ამიტომაც უპრიანი იყო კონსერვატორიის მესვეურთა არჩევანის შეჩერება ნატო ზუმბაძეზე, რომელსაც მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ პატრიოტულ სულისკვეთებასთან ერთად კარგად მოეხსენება, რომ მუსიკა ადამიანური ურთიერთობების პირმშოა და ამ ურთიერთობათა დამყარების საშუალება (გივი ორჯონივიძე). ამით აიხსნება მისი, როგორც ხელმძღვანელის მოწადინება – საზაფხულო არდადეგების გარკვეული პერიოდი სტუდენტებთან ერთად ხოფლად გაეტარგბინა, რაც ურთიერთდაბლობებას, საშემსრულებლო ძალების წარმოქნასა და უკეთ ამოქმედებას შეუწყობდა ხელს. დროის მცირე მონაკვეთში – სულ ცხრა დღეში ახალბედა მომღერლები 16 ახალ სიმღერას დაეუფლენენ.

საანსამბლო მუშაობის უმთავრესი შემოქმედებითი პრინციპი სიმღერათა ფონოჩანაწერებიდან შესწავლის სირთულის დაძლევა, ტრადიციებთან ორგანული სიახლოესე და ფოლკლორის ერთერთი უმთავრესი მახასიათებლის – სინკრეტიზმის წარმოქნაა. განსაკუთრებით თვალშისაცმი და დასაფასებელია, რომ თითოეული წევრთაგანი სოლისტია. აქ ყველა ყველა ხმას მდერის. ყველა მათგანი ცეკვავს და უკრავს ხალხურ ინსტრუმენტზე.

ამგვარი მიღღომა განპირობებულია მისწრაფებით, რომ ეროვნული მუსიკალური აზროვნებისათვის დამახასიათებელმა სპეციფიკურმა კატეგორიებმა ცოცხალ ქღერადობაში შეიძინოს ჯეშმარიტი სიცოცხლე.

ახლადმოწიფულ შემსრულებელთა დებიუტი სხვადასხვა სტილისა და ჟანრის საჩონგურო და უთანხლებო ნიმუშებით იყო წარმოდგენილი, რისთვისაც საგანგებოდ შეირჩა კრებულის ყველაზე საინტერესო და დირექტული 10 გურული სიმღერა.

მოკრძალებულმა, თითქოს ბედნიერების მწვერვალზე მყოფმა ახალგაზრდებმა შთამბეჭდავად იმდერეს „შობის ალილო“, „ნინა“, „მანანა“, „ალიფაშა“, „იარამაშაი“ (ა კაპელა), თუ საჩონგურო აკომპანემენტით შესასრულებელი „ილიას ნანა“, „სიმონა დოლიძე“, „შენ ჩემი ხარ მე – შენი“, და სხვა. აქვე უნდა ითქვას, რმ სტუდენტთა საგუნდო რეპერტუარი გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანია. მასში გაერთიანებულია თითქმის ყველა დიალექტის ნაკლებად ცნობილი, ან უცნობი ვარიანტები (უმეტესობა – საქესპერიციო ჩანაწერები) – რაჭული, მეგრული, სვანური, შავშური, აჭარული, ლეჩეულური, მიერული, გურული, თუშური, მოხეური, ქართლკახური.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებისა და მათი ხელმძღვანელის ერთობლივმა გარჯამ ჩინებული შედეგი გამოიღო. ახლადუეხადგმული კოლექტივის აუდიტორიასთან პირველივე შეხვედრამ გვიჩვენა, რომ ანსამბლს კარგი პირი უჩანს. დარბაზის რეაქციამ დამსწრე საზოგადოების ერთსულოვანი განწყობა გამოხატა – ამგვარი წამოწყებანი როგორც არასდროს, ისე სჭირდება ქვეყანას, სადაც საეჭვო დირებულებებისა და უდიმდამო ხელოვნების მიმდევართა რიცხვი შემაშფოთებელი სისწავით მატულობს.

თამარ მესხი

## საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალი 2005-2006

2005 წლის 30 სექტემბერს ბათუმში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალი 2005-2006. მისი ორგანიზატორები არიან საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

გალა-კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც აუთენტური ჯგუფები, ისე მეორადი ფოლკლორული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები ხინაძირიდან, ხარაგაულიდან, ოზურგეთიდან, მესტიიდან, ბათუმიდან, თბილისიდან, გორიდან და ხაშურიდან.

დათვალიერება-ფესტივალისათვის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა საგანგებოდ შეიმუშავა დებულება, რომელშიც განსაზღვრავების მიზანი; მომზადების, მიმდინარებისა და მონაწილეობის, უიურის წევრობისა და მონაწილეობათა დაჯილდოების პირობები; საშემსრულებლო კრიტერიუმები; ფესტივალის მოსალოდნები შედეგები და მნიშვნელობა.

დათვალიერება-ფესტივალის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს რაიონებსა და რეგიონებში შექმნილია საკოორდინაციო ჯგუფები. მათ ევალებათ მონაწილეობა წინასწარი რეგისტრაცია, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ შედგენილი ანკეტების შესება და ფესტივალის საინფორმაციო ბაზის შექმნა.

ფოლკლორული დათვალიერება-ფესტივალები საქართველოში დიდი ხანია ტარდება,



ფოლკლორულ დათვალიერება-ფესტივალზე

თუმცა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დებულებით გათვალისწინებული რიგი ცელილუ-ბები ახლანდელ ფესტივალს პრინციპულად განასხვავებს ძველებისაგან. განსაპუთრებით მისასალმებელი და მსარდასაჭერია ტრადიციული კულტურის შესანარჩუნებლად დასახული შემდეგი სიახლეები: მონაწილეებმა უნდა დაიცვან ფოლკლორის სიწმინდე, მოიძიონ და გააცოცხლონ საკუთარი კუთხური ტრადიციები, შეინარჩუნონ ხალხური საშემსრულებლო მანერა, გამოიყენონ ტრადიციული საკრავები, სწორად შეარჩიონ ჰანგი, წარმოადგინონ ხალხური შემოქმედების ყველა ჟანრის ნიმუშები. ჟიური ანონიმურია ფესტივალის დახურვამდე. ყველა ტური გადაიღება ვიდეო-, ფოტო- და აუდიოფირზე ჟიური მათი განხილვის საფუძველზე აღგენს შედეგებს თბილისში. ამავე დროს სამომავლოდ შემოქმედებითი მუშაობის გასაუმჯობესებლად იგი ფესტივალის ყველა მონაწილეს უმზადებს შენიშვნებისა და სურვილების ინდივიდუალურ პაკეტს.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი აპირებს დათვალიერება-ფესტივალის საუკეთესო მონაწილეთა CD და DVD ალბომების, საინფორმაციო-შემოქმედებითი ბუკლეტების გამოცემას. იგი უშუამდგომლებს მათ ადგილობრივი მმართველობისა და ოკითმმართველობის ორგანოებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან უკეთესი სამუშაო პირობების შექმნის მიზნით. ცენტრი გეგმავს დარგების მიხედვით მასტერკლასების ჩატარებას ფესტივალის ფარგლებში.

ზემოთ ჩამოთვლილი სიახლეების რეალურად განხორციელება ტრადიციულ ფოლკლორს მართლაც შეუქმნის უკეთეს სასიცოცხლო პირობებს. დათვალიერება-ფესტივალის მიზანიც ხომ ესაა.

### ნატალია ზუმბაძე



ფოლკლორულ დათვალიერება-ფესტივალზე

## სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „სინათლის“ 80 წლის იუბილე

2005 წლის 24 ოქტომბერს აკაკი ხორავას სახელმისამართის მსახიობის სახლში გაიმართა თბილის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ "სინათლის" 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი. მასში მონაწილეობდნენ: სუხიშვილების ქორეოგრაფიული სტუდია და ანსამბლი „იმედი“, „ერისიონის“ ვოკალური სტუდია, ანსამბლი „თბილისი“ და ტრიო „მეგობრობა“, მომღერლები – ოთარ ბერძენიშვილი, გიორგი უშიკიშვილი, ენრიკო ჯანელიძე. სიტყვით გამოვიდნენ ურნალისტები, ქორეოგრაფები, მომღერლები, მუსიკოსები (ომარ ჩიტაია, თენგიზ უთმელიძე, ბესიკ სვანიძე, ოთარ ბერძენიშვილი, გიორგი უშიკიშვილი, ანზორ კავსაძე).

ფოლკლორული კოლექტივების მიერ წარმოდგენილი ნორებიდან ზოგიერთი არასწორად (მაგალითად, ოსური ცეკვა – ქართულად) იყო დასახელებული; ზოგი კი აშკარად სცილდებოდა ხალხურ ტრადიციებს (ხალხური ცეკვის მუსიკალურ თანხლებაში გამოყენებული იყო გიტარა და სხვა, ქართველთათვის არატიპური საკრავები; ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში – მეგრული ხალხური სიმღერები გათანამედროვებული აკომპანემენტით.

არ არის აუცილებელი, ქორეოგრაფი იყო, რომ მიხვდე, თუ რამდენად დასცილდა ხალხურ პირველწეროს ქართული ქორეოგრაფია. ტრადიციული ცეკვების შენარჩუნებაზე, სიმართლე თუ გნებავთ, ვოკალური ანსამბლები უფრო ზრუნველი. ამას ადასტურებს მათი მცდელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფერხულებისა და საცვავო ილეთების შეულამაზებლად, ბუნებრივად წარმოჩენისაკენ. ქორეოგრაფების მიერ დაგდგმულ ცეკვებში კი ეს ყველაფერი პირწმინდად იკარგება, როგორც, ალბათ, ზედმეტად სადა, მარტივი. მაგრამ ეს ხომ ნებისმიერი (მათ შორის, ქართული) ხალხური ცეკვის მთავარი დირსებულებია! ამ მხრივ ნამდვილად მართული იყო ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის – გიორგი უშიკიშვილის შენიშვნა, რომ „ამ გზით სიარული ფოლკლორს 4-5 წელიწადში დაგვაკარგვინებს“.

სავალალოა, რომ ასეთი სახით წარმოდგენილი ქორეოგრაფიული კომპოზიცია მაყურებელს მოსწონს. არადა, ბოლო პერიოდის კონცერტებმა დამარტინუნა, რომ მაყურებლის განსაკუთრებული სიმპათია სწორებ ამგვარი ნომრების მხარესაა. ეს კი ჩვენი გემოვნების დაკინებასა და ტრადიციების დაკარგვაზე უნდა მიუთითებდეს. კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ გაურკვეველი წარმოშობის უგემოვნებო ცეკვას ხოტბას ასხამს პროფესიონალი ქორეოგრაფი ან მუსიკოსი, ვისაც განათლებით გაცილებით მეტი კულტურა მოეთხოვება. ასეთი "პროფესიონალების" მოჭარბება ფოლკლორს დამახინჯებით ემუქრება!

როგორც ჩანს, ქართველი მსმენელისა და მაყურებლის გემოვნების დეგრადაცია უფრო აქტიურად სასაუბრო თემაა. ასე რომ ყოფილი იყო და პროფესიონალებს სათქმელი დროულად და პირუთვნელად ეთქვათ, იქნებ, ქართულ სცენაზე არასწორი საშემსრულებლო ნორმები არც დამკვიდრებულიყო. მაგრამ ფაქტია, რომ ასე არ მოხდა. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გაუთვითცნობიერებელ მაყურებელს ამა თუ იმ კონცერტზე უფრო „შალახოს“ ტიპის ნომერი მოეწონება და დიდ ოვაციებსაც უძღვნის!

ვოკალური ფოლკლორული ჯგუფებიდან ეველაზე მეტი სიმღერა იუბილარმა შეასრულა. მის იმდევანდელ რეპერტუარში იყო როგორც გლეხური ფოლკლორის (ქართლ-კახური, სვანური, მეგრული), ისე – პროფესიული მუსიკის ნიმუშები. აქვე დავძენ, რომ ანსამბლის ძირითადი შემოქმედებითი პრინციპები (დიდი შემადგენლობა, მაღალი სმების გაორმაგება, დირიჟორობა, ნიუანსირება და სხვ.) უფრო მეტად პროფესიულ საგუნდო შემსრულებლობას ეკედლება.

დანარჩენმა ვოკალურმა ჯგუფებმა და სახელდახელოდ გაერთიანებულმა შემსრულებლებმა წარმოადგინეს გურული, აჭარული, მეგრული, ქალაქური და პროფესიული სიმღერები. კონცერტზე გამოსული ანსამბლები საკმაოდ



ტრამვაის დეპოს მუშაკებისაგან შემდგარი პირველი გუნდი 1924 წელს

განსხვავდებოდნენ და ბოლო ხანს ქართულ ფოლკლორულ შემსრულებლობაში გამოკვეთილ ტენდენციებს ასახავდნენ: ზოგი მათგანი უფრო ახლოს იყო ხალხურ საწყისებთან, ზოგი – ნაკლებად, სხვანი კი – გვარიანად შორს. ხალხურ ტრადიციაში სიმღერის თანხლებად არასდროს გამოიყენება ერთიდამიავე დასახელების რამდენიმე საკრავი: ასეთი რამ გამორიცხულია. თუ სიმღერას საკრავები ახლავს, ისინი, როგორც წესი, სხვადასხვა ჯგუფისაა! ფოლკლორული ანსამბლების მიერ მსგავსი შეცდომების სცენაზე გამოტანისა და პროფესიონალთა მხრიდან მათი უკომენტაროდ დატოვების შემდეგ მათ სხვებიც იმეორებენ.

კონცერტზე სიტყვით გამოსულებმა აღნიშნეს იუბილარის დიდი ღვაწლი ქართულ კულტურაში; მოიგონეს მისი საინტერესო შემოქმედებითი გზა. ანსამბლის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტების გახსენება ჩვენი ბიულეტენის მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ზედმეტი.

ხალხური სიმღერის ათკაციანი ჯგუფი (რომელიც შემდეგ თბილისის ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "სინათლე" გახდა) ტრამვაის დეპოში, ვატმან-კონდუქტორებისაგან შეადგინა მიტროფანე ცაგურიამ 1924 წელს. ტრადიციული სამოსის შეკერვის, ხალხური საკრავების შეძენის, ორი მოცეკვაზის დამატებისა და პროგრამის დამუშავების შემდეგ ანსამბლმა დაიწყო გამოსვლები დეპოსა და მის შემოგარენში.

1930-იან წლებში ჯგუფმა ცნობილი ლოტბარისა და მომღერლის – მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით მაღლე მიიქცია ფართო საზოგადოებისა და ცნობილი სპეციალისტების ყურადღება. მან დააინტერესა დიმიტრი არაყიშვილიც, რომელიც პირადად ზრუნავდა მომღერლობაზე რეპერტუარის გამდიდრებასა და დახვეწინებაზე.



ანსამბლი „სინათლე“ 1951 წლის ხალხური შემოქმედების ოლიმპიადაზე

აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა შეაფერხა სამამულო ომმა. შემდეგ კონკურსი გამოცხადდა და ათკაციანი ანსამბლი ერთ წელიწადში გადაიქცა სიმღერისა და ცეკვის მასშტაბურ კოლექტივად (90 მომღერლითა და 30 მოცეკვით). 1950-1951 წლებში იგი ბრწყინვალედ გამოვიდა მხატვრული თვითმოქმედების პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე საქართველოსა და მოსკოვში. 50-იანი წლები მეტად წარმატებული იყო ჯგუფის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. დაიწყო მისი ტრიუმფული გასტროლები საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ.

ამავე პერიოდში ანსამბლის რჩეული სოლისტებისაგან შეიქმნა ვოკალური კვარტეტი, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ქართული საესტრადო ხელოვნების ისტორიაში. მან მუსიკალურად გააფორმა დაუკიწყარი სპექტაკლები და კინოფილმები ("არსენა", "გიორგი სააკაძე", "ჭრიჭინა", "აბეზარა"); ქარხანა-ფაბრიკებში ჩატარა ასობით საქველმოქმედო კონცერტი.

60-იანი წლები ანსამბლის შემოქმედებითი მოღვაწეობის ზენიტადაა შეფასებული. ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მას პირველად რესპუბლიკაში სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა. 1965 წელს ჯგუფმა 20 კონცერტი გამართა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1968 წელს „სინათლეები“ მოსკოვის დავალებით კონცერტები ჩატარა პრაღაში, საბჭოთა კავშირის ანტიდემოკრატიული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული შიდააშლილობის დროს. თავისი მაღალპროფესიული ხელოვნებით მან მღელვარე აუდიტორიების ოვაციები დაიმსახურა და საბჭოთა კავშირის შედახული საერთაშორისო ავტორიტეტი იხსნა. შეიქმნა კინოფილმი – „მდერის და ცეკვას სინათლე“.

ანსამბლმა უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული ხელოვნების პოპულარიზაციაში. მან კონცერტები გამართა დანიაში, ფინეთში, ავსტრიაში, იუგოსლავიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, მონღოლეთში.

80-იან წლებში, ღირებულებათა გადაფასების პერიოდში, „სინათლე“ ერთგულად განაგრძობდა თავის საქმეს.

დღეს 80 წლის წინ შექმნილი ანსამბლი ისევ მოღვაწეობს. მის შენარჩუნებას მრავალმა ადამიანმა, მათ შორის, ტრანსპორტელთა სხვადასხვა დროისა და თაობის ხელმძღვანელობამ, შეუწყო ხელი.

## ნატალია ზუმბაძე

ეთნომუსიკოლოგია

# ვოკალური მრავალხმიანობის გავრცელება მსოფლიოს ტრადიციულ მუსიკალურ კულტურებში

იოსებ ჟორდანია

მელბურნის უნივერსიტეტი,  
ავსტრალია

სტატიის მიზანია მკითხველს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში ვოკალური მრავალხმიანობის გავრცელების შესახებ. მრავალხმიან კულტურათა დიდი რაოდენობის გამო მკითხველი სტატიაში ვერ იპოვის დაწვრილებით ცნობებს ცალკეული მრავალხმიანი კულტურების შესახებ.

სანამ უშუალოდ დავიწყებდეთ საუბარს მრავალხმიანი კულტურების რეგიონალური სტილების შესახებ, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: რა არის მრავალხმიანობა, ანუ როგორ უნდა განვხსაზღვროთ ეს მოვლენა.

მრავალხმიანობას, როგორც წესი, განსაზღვრავენ, როგორც ისეთი ტიპის მუსიკას, სადაც ერთდროულად ისმის ერთზე მეტი სიმაღლის ბგერა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ვეთანხმები მრავალხმიანობის აღნიშნულ განსაზღვრებას, მიმაჩნია, რომ იგი ძალიან ცალმხრივია და არ ითვალისწინებს ვოკალური მრავალხმიანობისათვის უაღრესად მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორს. ჩემი ღრმა რწმენით, ვოკალური მრავალხმიანობის ფენომენში გარკვევისათვის აუცილებელია გამოვლით ორი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც ამ მოვლენის არს ასახავენ. ესენია სოციალური და მუსიკალური ფაქტორები. მრავალხმიანობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს კულტურაში როგორც ერთიანი მოვლენა (ანუ მოვლენა, რომელიც ორივე - სოციალურ და მუსიკალურ ფაქტორებს მოიცავს), მაგრამ მრავალხმიანობა ასევე შეიძლება იყოს წარმოდგენილი კულტურაში მხოლოდ სოცია-



### თოსებ ჭორდანია

ლური, ან მხოლოდ მუსიკალური ფაქტორის საშუალებით. სოციალური მრავალხმიანობა გულისხმობს ადამიანთა ჯგუფის მიერ აქტიურ მუსიკალურ ურთიერთობას. მუსიკალური მრავალხმიანობა გულისხმობს ისეთი ტიპის მუსიკას, რომელშიც ერთდროულად ჟღერს ერთზე მეტი სიმაღლის ბერები. აშკარაა, რომ მრავალხმიანობის განსაზღვრის ზემოთ ნახსენები ტრადიციული ფორმულირება ეყრდნობა მხოლოდ მუსიკალურ ფაქტორს და საერთოდ არ ითვალისწინებს სოციალურ ფაქტორს.

სოციალური და მუსიკალური ფაქტორები ყოველთვის არ თანაარსებობენ კონკრეტულ კულტურებში. მაგალითად, უნისონური (ან ოქტავური) სიმღერის ფენომენი სოციალურად მრავალხმიანობა (რადგანაც საქმე გვაქს ჯგუფურ მუზიკირებასთან), მაგრამ მუსიკალურად ეს არის ერთხმიანობა (რადგან განხვავებული სიმაღლის ბერების შერწყმასთან არა გვაქს საქმე). მეორე მხრივ, ცენტრალური აზის ზოგიერთი კულტურისათვის დამასასიათებელი სოლო ობერტონული სიმღერის ტრადიცია მუსიკალურად მრავალხმიანობაა, თუმცა სოციალურად ეს არ არის მრავალხმიანობა.

სოციალური მრავალხმიანობა მსოფლიოში საოცრად ფართოდ არის გავრცელებული. ეგრეთ წოდებული ერთხმიანი კულტურების უმეტეს ნაწილში (მაგალითად, ჩინურში, ავსტრალიელი აბორიგენებისა და ამერიკელი ინდიელებს დიდ ნაწილში) ვხვდებით ჯგუფური სიმღერის მყარ ტრადიციას. შეიძლება ისიც ითქვას, რომ, ალბათ, არ არსებობს ისეთი კულტურა, რომელშიც საერთოდ არ არსებობს ჯგუფური სიმღერის ტრადიცია ამა თუ იმ ფორმით. კაცობრი-

ობის მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მუსიკალური უნივერსალია - ანტიფონური დიალოგი ორ მონაწილეს შორის (ეს შეიძლება იყოს ორი სოლისტი, ორი ჯგუფი, ანდა კიდევ უფრო ხშირად - სოლისტი და ჯგუფი) წარმოადგენს სოციალური მრავალხმიანობის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და მარტივ ფორმას.

სტატიაში მირითადად განხილულია ის კულტურები, სადაც მრავალხმიანობა წარმოდგენილია ორივე - სოციალური და მუსიკალური კომპონენტებით. თუ მრავალხმიანობა მხოლოდ მუსიკალური კომპონენტით არის წარმოდგენილი კულტურაში, აღნიშნული იქნება ამ კულტურაში მრავალხმიანობის ელემენტების არსებობა. ის კულტურები, სადაც მრავალხმიანობა მხოლოდ სოციალური ფაქტორით არის წარმოდგენილი, ამ სტატიაში მირითადად არ იქნება განხილული, თუმცა მკითხველს ისევ შევასენებ, რომ მსოფლიოში, ალბათ, არც ერთი კულტურა არ არსებობს, რომ საერთოდ არ ჰქონდეს სოციალური მრავალხმიანობის ესა თუ ის ფორმა.

**სად უნდა გავავლოთ ზღვარი მრავალხმიანობასა და ერთხმიანობას შორის?**

მრავალხმიანობის ჩემეული გაგებიდან გამომდინარე, ზუსტი საზღვარის გავლება მსოფლიოს მრავალხმიან და ერთხმიან კულტურებს შორის ფაქტორებით რად შეუძლებელია. ამის მიზეზი ისაა, რომ წმინდა ერთხმიანი კულტურები (ანუ კულტურები, რომლებშიც არ ვხვდებით არც სოციალური და არც მუსიკალური მრავალხმიანობის არავითარ ნიშნებს), როგორც ჩანს, საერთოდ არ არსებობენ მსოფლიოში.

იმისათვის, რომ კულტურა ჩაითვალოს მრავალხმიანად, მასში მრავალხმიანობა წარმოდგენილი უნდა იყოს ორივე - სოციალური და მუსიკალური ფაქტორების მიხედვით. კულტურები, სადაც გავრცელებულია ჯგუფური უნისონური სიმღერა და მუზიკირების ანტიფონური ფორმები (მაგრამ სადაც არ ვხვდებით განხსნავებულ ხმებში სიმღერას), შეადგენენ უზარმაზარ ჯგუფს, სადაც მრავალხმიანობა არსებობს მხოლოდ როგორც სოციალური მოვლენა. სწორედ კულტურათა ამ ჯგუფს განვიხილავთ, როგორც ერთხმიან კულტურებს. მეორე მხრივ, ობერტონული სიმღერის ტრადიცია (სოლო ორხმიანობა), როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუსიკალური ფაქტორის მიხედვით მრავალხმიანობაა, ხოლო სოციალური ფაქტორის მიხედვით არ არის მრავალხმიანობა. გარდა ამისა, ზოგიერთი სასიმღერო სტილი (ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა უნისონურ-ჰეტეროფონიული სასიმ-

დერო სტილი) თავისებურ საშუალედო ადგილს იკავებს მრავალხმიან და ერთხმიან სასიმღერო სტილებს შორის.

არსებობენ კი „მრავალხმიანი მუსიკალური გულტურები“ და „ერთხმიანი მუსიკალური გულტურები?“

მიუხედავად ჩემი შეხედულებებისა, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს მრავალხმიან და ერთხმიან სასიმღერო კულტურებს შორის არ არის მკაფიო დაყოფა, კულტურათა მთელი რიგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც "მრავალხმიანი კულტურები" (სადაც მრავალხმიანობა ორივე ფაქტორით არის წარმოდგენილი), ისევე როგორც კულტურათა მეორე დიდი ჯგუფი შეიძლება განვიხილოთ როგორც "ერთხმიანი" კულტურები (სადაც მრავალხმიანობა მხოლოდ ერთი ფაქტორით არის წარმოდგენილი).

მრავალხმიანობის ან ერთხმიანობის არსებობა სასიმღერო შემოქმედებაში ამ მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ეგრეთ წოდებული „მრავალხმიანი კულტურების“ წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია ერთხმიანი მელოდიების გააზრება მრავალხმიანი ფაქტურის ნაწილად, და უცნობი მელოდიებისათვის მეორე ხმის აუკლება. მრავალხმიანი კულტურის წარმომადგენლებისათვის ხშირად ხმათა შეწყობილი ხმოვანება კულტურულად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული ხმის მელოდიური განვითარება. სწორედ ამიტომ აქ მუსიკალური ტექსტი ხშირად შედგება მოკლე განმეორებადი ფრაზებისაგან და სიმღერა ხშირად საერთოდ არ იყოს აგებული ერთი მთავარი მელოდიის გარშემო. სოციალური კუთხით თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ მრავალხმიან კულტურებში მუზიკირების პროცესში საზოგადოება ხშირად არ იყოფა „შემსრულებლებიად“ და „მსმენელებიად“, რადგან, როგორც წესი, მთელი დამსწრე საზოგადოება ერთდროულად არის შემსრულებელიც და მსმენელიც.

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ „ერთხმიან კულტურებს“, აქ ფაქტურის პორიზონტალური, ლინეარული განვითარება აბსოლუტურად დომინირებს და სიმღერებს, როგორც წესი, აქვთ ჩამოყალიბებული და რთული მელოდიური სტრუქტურა. ინდივიდუალური შემსრულებლის როლი უაღრესად მნიშვნელოვანია. ინდივიდუალური შემსრულებლის უდიდეს როლს კულტურაში მივყავართ ზოგადად მუსიკალური კულტურის პროფესიონალიზაციისაქნ. მუსიკალური საკრავების როლი (განსაკუთრებით სიმებიანი საკრავებისა) გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ერთხმიან, ვიდრე მრავალხმიან კულტურებში და თვით საკრავებიც ხშირად ტექნიკურად უფრო

დახვეწილია ერთხმიან კულტურებში. მუსიკალური კულტურის პროფესიონალიზაციას ერთხმიან კულტურებში ხშირად მივყავრთ ბეკრათრიგებისა და კილოების რთული თეორიული სისტემების შექმნისაკენ. და ბოლოს, მრავალხმიანი კულტურებისაგან განსხვავებით, სადაც მუსიკალური შესრულების პროცესში ხშირად არ ხდება საზოგადოების დაყოფა „შემსრულებლებად“ და „მსმენელებად“, ერთხმიან კულტურებში, როგორც წესი, შემსრულებლისა და მსმენელის ფუნქციები მკაფიოდაა გამიჯნული ერთმანეთისაგან.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მთელი რიგ ქვეყნებში ერთმანეთის გვერდით მდებარე რეგიონებში თანაარსებობენ მრავალხმიანი და ერთხმიანი სასიმღერო ხტილები.

**რა ურთიერთობა არსებობს მრავალხმიანობის ვოკალურ და საკრავიერ ფორმებს შორის?**

უდავოა, რომ ვოკალურ და საკრავიერ მრავალხმიანობას (და საერთოდ მუსიკას) შორის ნებისმიერ კულტურაში არსებობს უაღრესად ღრმა შინაგანი კავშირი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს კავშირი ზოგჯერ ძალიან მნელი შესამჩნევია და სრულებითაც არ ნიშავს იმას, რომ ვოკალურ მუსიკაში მრავალხმიანობისა და ერთხმიანობის ისეთივე ფორმები იქნება გავრცელებული როგორსაც ვევდებით საკრავიერ მუსიკაში. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ცენტრალური აზიის კულტურები, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობენ ვოკალური ერთხმიანობა და საკრავიერი მრავალხმიანობა. საერთოდ, საკრავიერი მრავალხმიანობა გაცილებით უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე ვოკალური. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ საკრავიერი მრავალხმიანობის გავრცელება გარკვეულ პარალელებს ავლენს სოციალური მრავალხმიანობის ფართო გავრცელებასთან, თუმცა საკრავიერი მრავალხმიანობა მაინც არ არის ისე ფართოდ გავრცელებული მსოფლიოში, როგორც სოციალური. კულტურებში, სადაც ვოკალური მუსიკა მრავალხმიანია, როგორც წესი, მრავალხმიანობა გვხვდება საკრავიერ მუსიკაშიც, მაგრამ არის მთელი რიგი ქვეყნებისა, სადაც საკრავიერი მრავალხმიანობის გვერდით თანაარსებობს ვოკალური ერთხმიანობა.

ვოკალური და საკრავიერი მრავალხმიანობის ურთიერთობის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ასპექტი ის არის, რომ სხვადასხვა ტიპის ტრადიციები საკრავები განსხვავებული ტიპის პარალელებს ავლენენ საკუთარ ვოკალურ მუსიკასთან. კერძოდ, ჩასაბერი საკრავები ამჟღავნებენ გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირებს ვოკალურ მუსიკასთან, ვიდრე სიმები-

ანი საკრავები. როგორც ჩანს, ჩასაბერ საკრავებსა და სიმღერას შორის არსებული ღრმა შინაგანი კავშირის საფუძველია სუნთქვის პროცესი, რომელიც საერთო როგორც სიმღერისათვის, ისე ჩასაბერ საკრავებზე დაკვრისათვის. ვოკალურ და ჩასაბერ საკრავიერ მუსიკას შორის არსებული მჭიდრო კავშირი ზოგ შემთხვევაში საშუალებას იძლევა, რომ არქეოლოგიური მასალების მიხედვით აღვადგინოთ და ვივარაუდოთ ვოკალური მრავალმიანობის ტრადიცია უკვე გამქრალ კულტურებში. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ზოგიერთ არქეოლოგიურ კულტურაში ნაპოვნი აშკარად პოლიფონიური ტიპის საკრავების არსებობა (იგულისხმება ორმაგი, სამმაგი და ოთხმაგი ფლეიტები განსხვავებული ზომისა და ფუნქციის მილებით, მათ შორის ბურდონული მილებითაც).

**სად უნდა ვეძიოთ ვოკალური მრავალების საწყისები? წარმოიქმნა თუ არა ვოკალური მრავალებისა ერთხმიანი სიმღერის განვითარების საფუძველზე?**

პირდაპირ რომ ვთქათ, ამ საკითხს არაფერი არა აქვს საერთო მრავალებისა თანამედროვე გავრცელების სურათთან. ამავე დროს აშკარაა, რომ მრავალებისა წარმოშობის საკითხი დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე როდესაც ვცდილობთ, რომ მრავალებისა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში გავრცელების სურათი ისტორიულ დინამიკაში გავიაზროთ. საუკუნეების განმავლობაში მუსიკისმცოდნებისა და ეთნომუსიკისმცოდნების შორის არსებული ერთობლივი რწმენა იმაში, რომ მრავალებისა არის ერთხმიანობის ბუნებრივი განვითარების შედეგად წარმოშობილი გვიანდელი მოვლენა, აშკარად მოგველებულია. მთელი რიგი შესანიშნავად განვითარებული მრავალებისა ტრადიციებისა მსოფლიოს უკულაზე უფრო ძნელადმისადგომი და ეკონომიკურად განუვითარებელი რეგიონებიდან გვაფიქრებინებს, რომ ვოკალური მრავალებისა ადამიანური კულტურის უაღრესად არქაული ელემენტი უნდა იყოს. ბოლო 25 წლის განმავლობაში ჩემს პუბლიკციებში არაერთხელ გამოფთქი მოსაზრუბა, რომ ადამიანთა ჯგუფური სიმღერისა და მრავალებისა სათავეები უნდა ვეძებოთ ადამიანური ევოლუციის უძველეს შრეებში. ამ მოდელის მიხედვით მჭიდრო ისტორიული კავშირები არსებობდა ვოკალური მრავალებისა, ადამიანური აზროვნების, ენისა და მეტყველების განვითარების ევოლუციურ პროცესებს შორის.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ მრავალებისა გავრცელების მიმოხილვაზე მსოფლიოში, უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისთვავად მრავალებისა ჟემმარიტად მსოფლიო მოვლენაა,

რომელიც გავრცელებულია (სხვადასხვა ფორმებითა და რაოდენობით) მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა კონტინენტზე. უპირველეს ყოვლისა, სწორედ მრავალებისა ფართო გავრცელებისა და სტილების მრავალფეროვნების გამო მრავალებისა მსოფლიო გავრცელების რუკის შედგენა ისევე რთულია, როგორც მსოფლიო მუსიკალური სტილების რუკის შედგენა. შესაბამისად, როგორც აღრევე აღვნიშნეთ, წარმოდგენილი სტატია არ ისახავს მიზნად, დეტალურად დაახასიათოს მსოფლიო მრავალებისა ტრადიციების რეგიონალური სტილების მთელი მრავალფეროვნება.

არ დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენი სტატია შეეხება მხოლოდ მრავალებისა ვოკალურ ფორმებს. საკრავიერი მრავალებისა სტატიაში მოხსენიებული იქნება მხოლოდ ვოკალური მრავალების კონტექსტში.

და ბოლოს, ვგახსოვდეს, რომ სტატიაში განიხილება მრავალებისა გავრცელება არა მსოფლიოს თანამედროვე მოსახლეობაში, არამედ კონტინენტებისა და რეგიონების ადგილობრივ მოსახლეობაში. ანუ, მაგალითად, როცა ჩვენ განვიხილავთ ამერიკის კონტინენტების მუსიკალურ კულტურებს, ჩვენ ძირითადად საქმე გვაქნება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ავტოქტონი ინდიელების მუსიკალურ ტრადიციებთან. ამერიკის თანამედროვე მოსახლეობის მუსიკალურ კულტურას (რომელშიც შერწყმულია როგორც ინდიელთა, ასევე ევროპელთა, აფრიკელთა და აზიელთა მოსახლეობისა და კულტურის ელემენტები) ჩვენ მხოლოდ მოვლენა მოვიხსენიებთ. ასევე შევეცდები (სადაც ეს შესაძლებელია) წარმოვადგინო ინფორმაცია ამა თუ იმ რეგიონში მრავალებისა შესაძლო გავრცელების შესახებ ადრეულ ეპოქებში. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როცა მდიდარი და პირდაპირი წერილობითი და არქეოლოგიური წყაროები გვაძლევენ ამის საშუალებას (როგორც მაგალითად, ჩრდილოეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, წინა აზიასა და ცენტრალურ ამერიკაში).

მრავალებისა გავრცელების დასახასიათებლად ძირითადად მიგვვები სხვადასხვა დისციპლინებში მიღებულ მსოფლიოს დაყოფას კონტინენტებად და რეგიონებად. მიმოხილვას დავიწყებთ აფრიკის კონტინენტის დახასიათებით, შემდეგ თანმიმდევრობით განვიხილავთ ევროპას, აზიას, ამერიკას, ავსტრალიასა და ოკეანიას.

**გაგრძელება ბიულეტენის  
შემდეგ ნომერში**

ქართველი ეთნომუსიკისმცოდნები

## გრიგოლ ჩხილაძე (1900-1987)

ქართველი ეთნომუსიკისმცოდნების სათავეებთან იწყება ეროვნული მუსიკალური ფოლკლორისტიკის პატრიარქის, ტრადიციული კულტურის დიდი მოამაგის პროფესორ გრიგოლ ჩხილაძის ხანგრძლივი და მრავლისმომცველი მოღვაწეობა.


გრიგოლ ჩხილაძე ცნობილი მუსიკოს-მოღვაწის ზაქარია ჩხილაძის ოჯახში დაიბადა, ბავშვობიდანვე ეზიარა ხალხურ პანგებს და მას შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი წუთითაც არ მოწყვეტია მშობლიური მუსიკით გაჟღენთილ გარემოს.

მისი ყრმობის წლები უკავშირდება ქართველ გიმნაზიას, სადაც სწავლობდა ნიკო კაცხოველის, სანდრო შანშიაშვილის, მიხეილ მრევლიშვილის, კოტე ბაქრაძის, ქუჯი ძიძიშვილისა და სხვათა გვერდით. პირველი ქართველი მეცნილინე-ვირტუოზის ანდრია ყარაშვილის ხელმძღვანელობით დაეუფლა ვიოლინოზე დაკვრას. უკრავდა და მღეროდა ზაქარია ფალიაშვილის მოწაფეთა ორკესტრსა და გუნდში, დიდი კომპოზიტორის თანხლებით ასრულებდა სავიოლინო პიესებსა თუ კონცერტებს.

თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ ვიქტორ ვილშაუსთან დაწყებული მეცადინეობა მან თეორია-კომპოზიციის განხრით 1924 წ. დაასრულდა (პროფ. სერგეი ბარხუდარიანთან). ამ პერიოდს უმთხვევა ახალგაზრდა მუსიკოსის პირველი საქმიანი ნაბიჯებიც – მიხეილ ხერხეულისტებთან ერთად თბილისში საბავშვო თეატრისა და გუნდების დაარსება, საქველმოქმედო კონცერტების გამართვა (იყალთოში, ენისელსა და შოვში).

ლენინგრადის კონსერვატორიაში ქრისტეფორე კუშნარიოვთან თეორიული კურსის გამლის შემდეგ იგი დატოვეს ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც მუსიკალური ფოლკლორისტიკის ხაზით დაასრულდა (1935).

სამშობლოში დაბრუნებისთანავე გრ. ჩხილაძე შეუდგა აქტიურ მუშაობას მუსიკალური ფოლკლორის დარგში და ნახევარ საუკუნეზე მეტი შეალია ამ საქმეს. მისი მოღვაწეობა მრავალ ასპექტს მოიცავდა და სამეცნიერო, პედაგოგიურ სა და საზოგადოებრივ ასპარეზზე განვლილი გზა ნაციონალური კულტურის მსახურების სა-



მაგალითო ნიმუშს წარმოადგენდა. იგი ხალხური მუსიკით, მისი სიუკარულით სულდგმულობდა – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ამას უკავშირდებოდა და ემსახურებოდა გრ. ჩხილაძის შრომები, სტატიები თუ ლექცია-საბრეგბი.

პედაგოგიური საქმიანობა გრ. ჩხილაძემ უსინათლოთა და პირველ საშუალო სკოლებში, მუსიკალურ სასწავლებელში დაიწყო (1919). 1935 წლიდან კი, უწყვეტლად, სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც მის მიერ ქართველი მუსიკალური ფოლკლორის სპეციალური და ზოგადი კურსები იქნა შემოღებული. აქვე, წლების მანძილზე უძღვებოდა მისი ინიციატივით დაარსებულ ხალხური სამუსიკო შემოქმედების კათედრას (1970-77 წწ.), კითხულობდა ქართველი მუსიკის ისტორიის კურსს (შეადგინა პროფ. ლადო დონაძესთან ერთად), ბაქოს კონსერვატორიის სტუდენტებს აცნობდა ქართველი მუსიკის ისტორიასა და ეროვნულ ფოლკლორს. პარალელურად ქართველი რადიოს მუსიკალური ფოლკლორის განყოფილებას განაცემდა.

გრ. ჩხილაძის თაოსნობითა და აკადემიკოს ნიკო კეცხოველისა და სიმონ ჯანაშიას ხელშეწყობით მეცნიერებათა აკადემიაში დაარსდა ქართველი მუსიკალური ფოლკლორისტიკის განყოფილება, რომელსაც თავდაპირველად გამოჩენილი ქართველი სწავლული პროფესორი შალვა ასლანიშვილი, ხოლო 1953-60 წწ. თვით პროფ. გრ. ჩხილაძე ხელმძღვანელობდა. ერთდროულად იგი თანამშრომლობდა შოთა რუსთაველის სახელო-

ბის ოეატრალურ ინსტიტუტში, იყო სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების, სამეცნიერო და სამხატვრო საბჭოების წევრი და სხვ.

გრ. ჩხიკვაძის პედაგოგიურ მოღვაწეობაში მაში შეთავსებული იყო თვითდისციპლინა და დიდი პასუხისმგებლობა. მამობრივ მზრუნველობასთან ერთად იგი სტუდენტებთან სულიერი ერთიანობის აღმოსვეროს აქციიდრებდა. თავმდაბალი და ახალგაზრდების კეთილგონიერი მრჩეველი, უდრტვინველი მწვრთნელი და დამკვალიანებელი, ჩინებული მოუბარი, ხშირად ენაკვიმატი, ზოგჯერ ფიცხიც, მაგრამ განსაკუთრებულად თავდაჭერილი – ასეთი დარჩა ბ-ნი გრიგოლი მისი მოწაფეების მეხსიერებაში.

წლების სიმრავლე ვერაფერს აქლებდა  
მის სიმხევესა და კომუნიკაცელობას. ლექცი-  
ებსა თუ ინდივიდუალურ მეცადინეობებზე იგი  
ტაქტიანი მომთხოვნელობით წარმართავდა სტუ-  
დენტთა შესაძლებლობებს მეცნიერული სა-  
ფუძვლების ათვისების, პროფესიული თვალსაწ-  
იერის გაფართოვებისა და ფოლკლორისტიკის  
თანამედროვე მიღწევების დაუფლებისაკენ. ექს-  
პედიციებში კი, მოუწყობელი სავალე ყოფის  
პირობებში, ამტანობასა და მთის ბილიკებზე ენ-  
ერგიულ, სხარტ სიარულში ტოლს არ უდებდა  
ახალგაზრდებს.

გრ. ჩხილების შემკრებლობითი მუშაობის  
აღდრეული ცდები 1917-18 წწ. განეკუთვნება. მისი  
პირველი ინფორმატორ-მთქმელები იყვნენ მამიდევ-  
ბი – კარგი მომღერლები და გიტარაზე შე-  
მსრულებლები. პირველი ექსპედიცია კი ანთონ-  
პოლოგისა და ეთნოგრაფის ინსტიტუტის ხაზით  
გურიაში მოეწყო. სიცოცხლის უკანასკნელ წლე-  
ბამდე (1982) გრ. ჩხილების მიერ ჩატარებული  
სამეცნიერო ექსპედიციების მიზანს წარმოად-  
გენდა ხალხში გაბრუელი მრავალსაუკუნოების  
ქართული მუსიკალური მემკვიდრეობის ნიმუშების  
მოძიება და დაფიქსირება.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში  
— აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს  
მთასა და ბარში ჩატარებული ნაყოფიერი შემ-  
კრებლობითი მუშაობის შედეგად გრ. ჩეიკვაძემ  
სხვადასხვა დიალექტის (აღმოსავლეთ საქართველოს  
მთიელთა, ქართლ-კახეთი, ლაზეთი, მესხეთი და  
ა. შ.), უნიტის (შრომის, საისტორიო, საწესებულებო,  
სამგზავრო-სალაშქრო, საფერხულო, ლირიკულ-  
სატრადიციო და სხვ.) საინტერესო ერთი, ორ,  
სამ და ოთხმიანი ნიმუშები ჩაიწერა.  
განსაკუთრებით ფასეულია მის მიერ შედგენილი  
და მისივე რედაქტორობით გამოცემული კრე-  
ბული „ქართული ხალხური სიმღერა“, რომელ

საც წამდვარებული აქვს ქართულ-რუსულენო-ოვანი გამოკვლევა. აქ განხილულია ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების თავისებურებანი და დამახასიათებელი ოვისებები. კრებულში წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ნიმუშები. თითოეულ ნაწილში ცალკეა გამოყოფილი ინსტრუმენტული მუსიკა. მასში შესულია როგორც სხვა კრებულებში უკვე გამოქვეყნებული (ანდრია ყარაშვილის, ია კარგარეთელის, ზაქარია ჩხილვაძის, ლიმიტრი არაყიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, შალვა მშველიძის ჩანაწერები), ისე გამოუქვეყნებელი მასალა (46 სიმღერა).

მიების სფეროში გრ. ჩხიკვაძის მიერ დას-  
მულ საკითხთა შორის განსაკუთრებული აქტუ-  
ალობით გამოირჩევა ქართული ეთნომუსიკო-  
ლოგიის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემა  
მრავალხმიანობის სახით. სხვადასხვა დროსა  
და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შეგ-  
როვილი ოვითმყოფი მხატვრული ნიმუშების  
სერიოზული ანალიზის შედეგად კლასიფიცირე-  
ბულია და გაშუქებული ქართული მრავალხმი-  
ანი მუსიკალური აზროვნების სხვადასხვა ფორმე-  
ბი, მათი სტრუქტურული თავისებურებანი, განხ-  
ილულია წარმართული სამუსიკო კულტურის  
ნიმუშები, რომლებშიც ქრისტიანობამდევლი რწმე-  
ნა-წარმოდგენები და სინკრეტული ხასიათი  
აირეკლება.

საყურადღებო გრ. ჩხილავის გამოკვლე-  
ვები ქართული ხალხური ინსტრუმენტარიუმის  
საკითხებზეც. ხალხურ საკრავებს იგი ქართული  
მუსიკის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროდ მი-  
იჩნევდა. არქეოლოგიური მასალისა (ყაზბეგის  
განძის ბრინჯაოს ქანდაკება, სამთავროში აღ-  
მოჩენილი ძვლის სალამური) და ხეთურ ბარე-  
ლიეფზე გამოსხახული საკრავების საფუძვლზე  
წერილობითი წყაროების გათვალისწინებით აღ-  
გენს წარმართული ხანის ქართულ ინსტრუმენ-

გარიუმს (სიმებიანი და ჩასაბერი საკრავები).

გრ. ჩხიკვაძე არა ერთი სადისერტაციო  
ნაშრომის ხელმძღვანელი, ოპონენტი თუ რეცენ-  
ზენტი იყო თბილისში, ბაქოში, ერევანში, მოსკოვში,  
ლენინგრადში, რიგაში. იგი აქტიურად მოღვაწეობდა  
როგორც პედაგოგიური საზოგადოების ესთეტიკური,  
ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ხელოვნების,  
უწყვეტის მუსიკალური ჯულიტურისა და მუსიკალური  
ფოლკლორის სექციების თავმჯდომარე, საზღვარ-  
გარეთობან საქართველოს კულტურული ურთი-  
ერთობის საზოგადოების გამგე, მეცნიერებათა  
აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო  
საბჭოს წევრი და სხვ.

ლგაწლმოსილი მკვლევარი მჭიდრო შე-  
მოქმედებითი კონტაქტებით იყო დაკავშირებული  
ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ, შვედ, გერმანელ,  
უნგრელ, იაპონელ, რუს, უკრაინელ და სხვა უცხ-  
ოელ კოლეგებთან.

დღო, როგორც შეუცდომელი და მკაცრი მსაჯელი, დაუმსახურებლად არავის არაფერს არგუნებს. ბ-ნი გრიგოლის სახელმა გაუქდო დროის გამოცდას. ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის მესაძირებლის ქურთხეული გარჯა დაფასდა – მის მიერ ადზრდილი უფროსი თაობის მუსიკას-ფოლკლორისტთა (მინდია ქორდანია, კახი როსებაშვილი, აქებური ჭოხონელიძე, ედიშერ გარაფანიძე და სხვ) პროფესიული ქნიურია მით, შემოქმედებით-სამეცნიერო ნადვაწითა და ახალგაზრდა, პერსპექტიულ სპეციალისტთა იშვიათი შრომისმოუყვარებით წელი გამხროული ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედების კოფერაცია დღეს ტრადიციულ მუსიკალურ ფოლკლორთან დაკავშირებული საერთაშორისო მოვლენების (კონფერენციები, სიმპოზიუმები) აქტიური მონაწილეა.

თამარ მესხი

## გრიგოლ ჩხიგვაძის სამეცნიერო ნაშრომები

1. ჩხილებე, გრიგოლ. (1948). ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო ძელტურა. თბილისი: საქართველოს სსრ მუსიკალური ფონდი.
  2. მუსიკალური საკრავი – ებანი და მისი რაობა. (1955). კრებულში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VIII. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
  3. ქართული ხალხური სიმღერა და შემკრებლობითი მუშაობა. (1956). კრებულში

„ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსმოდენეობა და და მუსიკალური კრიტიკა“.<sup>1</sup> მოსკოვი:

4. *Aoçelmeæa taolalua tamie.* (1956). xoeaaaaça, Äðèäïðèé (Çäièñü, iáùàÿ ðåäàåêöèÿ, iðäeñëfää è iðè i å÷äíèÿ). Iññéâa: Äññääðñðååíííå lóçûéäe üííå èçääðåäüñðåâi.
  5. *Saçarotzegelews* სსრ კომპოზიტორები. (1956). თბილისი: ხელოვნება.
  6. Äðååíåäððçèíñëàÿ lóçûéäe üíàÿ êöëüñðåâ. (1957). Äññâi ði è éâ: Ööéóëëäçå, Áiòi í (äë. ðåää.). Äðöçèíñëàÿ lóçûéäe üíàÿ êöëüñðåâ. Iññéâa: Äi-nñääðñðååíííå lóçûéäe üííå èçääðåäüñðåâ. (ñðð. 7-20)
  7. *ქართული ხალხური სიმღერა.* (1960). ჩხიკვაძე, გრიგოლ (რედაქტორ-შემღებელი). I ტ. თბილისი: საბჭოთა საქართველო. (ქართულ და რუსულ ენებზე).
  8. *ქართული სამუსიკო საკრავები* (ჩასაბერი). (1962-63). ხელნაწერი ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების კათედრაზე.
  9. xöðéêåääçå, Äðèäïðèé. (1964). Iññííå iúå ðeëüü äððçèíñëàÿ ði ëí åí i à ð iâ i í åí i i åí åí ëíñëèÿ. I iññéâa: Iàó êà. (VII iåæäóíàðiâ i úé ëííå ðåm àíðð i i ëiâ ñäñéè ðe ëíñëà ðe ëíñëà ðiâ ñäñéè ñàó ê). (რუს. და ინგლ. ენებზე)
  10. xöðéêåääçå, Äðèäïðèé. (1965). Äièñði ðe ðe ñäñéàÿ äððçèíñëàÿ ëíñëiâ ñäñéà ðe - ñäñéà ðe. Separatum. Budapest. Akademiai Kiado. / Europa et Hungaria. Congressus ethnographikus in Hungaria. Budapest. 16-20. X. 1963/ (რუსულ ენაზე)
  11. *ქართული ხალხური ოთხმიანობა* (1965-67). ხელნაწერი ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების კათედრაზე.
  12. მუსიკის ელემენტარული თეორია. (1966). თბილისი: განათლება.
  13. *Grundtypen der Mehrstimmigkeit im grusinischen Volkslied.* (1968). Sonderdruck aus: Beiträge zur Musikwissenschaft. Heft 3. Berlin. (ქართული ხალხური სიმღერის ტიპები. (1968). კრებულში „წვლილი მუსიკალურ მეცნიერებაში“ ბერლინი. (გერმანულ ენაზე)
  14. *La cultur musicale populaire géorgienne.* (1969). Bedi Kartlisa. Revue de kartvelologie. P. Paris. ქართული ხალხური მუსიკალური კულტურა. ალმანახი „ბერი ქართლისა“. ტ. XXVI. პარიზი. (ფრანგულ ენაზე)
  15. მუსიკალური ლექსიკონი. (1971). ყიფშიძე, ალისა და ჩხიკვაძე, გრიგოლ (შემდგენლები). თბილისი: განათლება (უცხოურ-რუსულ-ქართულ ენებზე)
  16. Äðóçèíñëi iàðiâi iññíi. Iññáíèé. (1977). Èeiâ. (უკარაინულ ენაზე)

მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები ქურ-  
ნალ-გაზეთებში, სტატიები ქართულ ენციკ-  
ლოპედიაში, საბავშვო ოპერები, სიმღერები,  
ორმანსები და ა. შ.

## საგელე-შემკრებლობითი მუშაობა

# ფოლკლორული ექსპედიცია საგარეჯოს რაიონში (კახეთი)

2005 წლის 17-30 აგვისტოს იუნესკოს პროექტის ფარგლებში მოეწყო ტმპსც-ის ექსპედიცია საგარეჯოს რაიონში (მეცნიერთანამშრომლები ნინო მახარაძე, ლელა მაქარაშვილი).

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ დაფიქსირებულ მასალაში სჭარბობს აღმოსავლეთ საქართველოს მთის სიმღერების ტიპის საფანდურო რეპერტუარი („სტირიან თუშის ქალები“, „მთაში სალამურს ვაკვნესებ“, „ვაჟაპო, მთაში გაზრდილო“, „შირაქში ერთმა მეცხვარებ“, „შაგრილის ასულო“ და ა. შ.), კახური შირების ვარიანტები, საცეკვაოები (კახური, ლეკური, ოსური). მოსახლეობაში პოპულარულია აჭარული ჰანგები.

ფოლკლორულ ნიმუშებთან ერთად მოპოვებული სიტყვიერი მასალა ადასტურებს, რომ სახადის, ელიაბის, გუთნით წყლის ხვის, დიღგბაზე, ალილოზე სიარულის წესები, ბერიკაობის დღესასწაული აქ კახეთის დანარჩენი რეგიონების ანალოგიურად ტარდებოდა.

სოფელ თოხლიაურში შევძლით ხმით ნატირლის დაფიქსირება უშუალოდ პანაშვიდზე. სასიმღერო და საკრავიერი მუსიკის ნიმუშები, ამა თუ იმ რიტუალის აღწერა, სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ცნობები შევკრიბეთ ეთნოფორებისაგან, რომელთა ასაკი 65-80 წელია (ნიკოლოზ კუპატაძე, თამარ მექალუაშვილი, ალექსი მათიაშვილი, უჟურა შიოშვილი). რამდენიმე სიმღერა, მათ შორის ქალაქური ნიმუშები გიტარის თანხლებით, ახალგაზრდებმაც შეგვისრულეს. თოხლიაურის ქალთა ანსამბლის წევრები კლუბის გამგის – ლამზირა ზაქაიძის ძალის-ხმევით იკრიბებიან და შეძლებისდაგვარად ცდოლობენ მოზარდ თაობას შეაყვარონ სიმღერა.

წარმოშობით ფშაველმა ხელი ბუგა-ჩაშვილმა ფანდურის თანხლებით რამდენიმე სასიმღერო ნიმუში ჩაგვაწერინა და უკანა ფშავის ლაშარის მთავრანგელოზობის ხატობის, ზოგიერთი საქორწილო წეს-ჩვეულების შესახებაც გვიამბო. ამავე სოფელში გადავიდეთ ადგილობრივი და თბილისიდან ჩამოსული ბაგშვების თამაშობები.



## შალგა ახვერდაშვილის ჩაწერა (ნინოშვინდა)

დასამასსოვრებელი იყო შეხვედრა თამარ ნაცელიშვილთან (დაბ. 1926 წ.) და ნიკოლოზ თათარაშვილთან (დაბ. 1925 წ.). მეუდღებმა საქუთარი სახსრებით აღადგინეს სოფლის ეკლესია და მუდმივად ზრუნავენ მასზე. მათ ოჯახში მოვისმინეთ ლოცვები, სადღეგრძელოები, სალამურის მელოდიები, საცეკვაო რიტმები, საფანდურო „იავნანა“, ბატონმა ნიკოლოზმა პაპისაგან – ბოჭორმელი ხევისბერისაგან ნასწავლი დალოცვა-დამწყალობებაც გაიხსენა.

შევიტყვეთ, რომ აღდგომიდან III და IV კვირას თოხლიაურის მახლობლად წმინდა გიორგისა და ლვისმშობლის ეკლესიების კარზე იმართება კალობნობა – დღეობა, რომელზეც თავს იყრიან მახლობელი სოფლებიდან ამოსული მლოცველები. ლხინს ჭიდაობა, დოღი, ცემპათამაში ახლავს. მოსახლეობას საზაფხულო საბორები ცივის მთაზე აქვს. ნიკოლოზ კუპატაძის ცნობით, იქაური მწყემსები დიდგულისაგან დღუსაც ამზადებენ სალამურს, მაგრამ ამჯერად მათთან შეხვედრა ვერ შევძლით.

გახვლა კიდევ ხუთ სოფელში მოხახერხეთ. ეს გახლავთ ნინოშვინდა, გიორგიშვინდა, მანავი, კაკაბეთი და უდაბნო.

ნინოშვინდაში კლუბის გამგის – მაია ალექსიშვილის დახმარებით შევხვდით ორ მეფანდურეს – ვასილ როგიაშვილსა და შალგა ახვერდაშვილს, რომლებმაც სიამოვნებით მოგვასმენინეს თავიანთი რეპერტუარი, შირები, საცეკვაო ჰანგები. სოფელში განთქმული მომღერალი – ქალია როსტომაშვილი, მგლოვიარედ უოფნის გამო, მხოლოდ შელოცვების თქმაზე დაგვთანხმდა. ნადია ივანიაშვილის სტუმართმოყვარე ოჯახში ჩაწერილი მასალიდან აღვნიშნავდით



### გასილ როჭიკაშვილი ნინოწმინდიდან

ელიკო გოგალაძე-როსტომაშვილის (დაბ. 1941 წ.) მიერ შესრულებულ სიმღერა-ტირილს, რომელიც აფხაზეთის ომში დაღუპულ მებრძოლებს ეძღვნება.

სოფელ კაკაბეთში შევხვდით 78 წლის უშანგი მასურაშვილსა და 76 წლის მიხეილ გალუსტოვს. ისინი მდევოდნენ მიხა ჯილაურისა და ვანო ჭედლიშვილის ანსამბლებში. ბატონი უშანგი ფანდურებსაც ამზადებს, შვილიშვილებსა და სხვა ახალგაზრდებს ტრადიციულ სასიმღერო რეპერტუარს ასწავლის, რომლებიც კლუბის გამგის – ნიკო გიგოშვილის ძალისხმევით პერიოდულად იყრიდებიან. მოხუცებმა ცნობილ სასიმღერო ნიმუშებთან („ბერიკაცი ვარ“, „წინწყარო“, „ჩინგურო“, „ოროველა“, „იავნანა“, „ჰერიო“, „ბარეკახური საჭიდაო“) ერთად, „კაკაბური მუშურის“, „ალილოს“ ფრაგმენტები, საცეკვაოები, შაირები, საბჭოური და ქალაქური სიმღერებიც შემოგვთავაზეს. ბატონ ნიკოს აქვს საკრავების პატარა კოლექცია, საინტერესო ფოტო, აუდიო და ვიდეო არქივი. ამავე სოფელში ფანდურზე მშვენივრად უკრავს ქალბატონი დარიკო მირზიაშვილი, რომელიც ქალთა და ბავშვთა ანსამბლებსაც ხელმძღვანელობს.

სოფელ ჩაილურში ყოველწლიურად იმართება ბერიკაობა. ვფიქრობთ, თუ შესაძლებლობა მოგვეცემა, კარგი იქნებოდა ამ დღესასწაულის ფირზე აღბეჭდვა. აგრეთვე, სოფელ კოჭბანში ფშავიდან გადმოსახლებულ მოხუც მოქმედებთან ჩასვლა.

მანავში მცხოვრები კაკო ფეიქრიშვილი, ადგილობრივი დასტის წევრია, რომელსაც ქორწილებსა და პანაშვიდებზე იწვევენ. იგი რამდენიმე საკრავს ფლობს (დოლს, დუდუკს, ფან-

დურს). ამჯერად მისგან მხოლოდ საფანდურო რეპერტუარის რამდენიმე ნიმუში ჩავწერეთ. მათ შორის „შაქარა“, რომლის ვარიანტები 1980 წელს ამავე რაიონში ი. უორდანიას ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციის დროს ყველა სოფელში პოპულარული იყო.

მანაველმა ქალებმა ნადია მაჩურიძემ და ანიკო ექვთიმიშვილმა ელიაობის წესები, საფანდურო სიმღერები, სამკურნალო „იავნანის“ ორხმიანი ვარიანტის შესრულება შემდეს. კახიდან გამოთხოვილმა რუიზან სონაშვილმა ინგილოური დასაძინებელი „დაი, დაი“ ჩაგვაწერინა.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული დაკვირვების ობიექტად შეიძლება იქცეს სოფელ უდაბნოს ფოლკლორული ტრადიციები. 1984 წლიდან დაფუძნებულ ამ სოფელში საქართველოს 42 წერტილიდან მიგრირებული ოჯახები ცხოვრობენ. მათ შორის სვანები, რაჭველები, მეგრელები, მესხები, ინგილოები. . . ამჯერად მხოლოდ მესტიის რაიონის სოფელ ლატალიდან გადმოსახლებულ მომღერლებს შევხვდით. ოთარ ფარჯიანმა, გუნტერ ფიცხელანმა, მირზა ივებიანმა, პეტრე ნანსყანმა, როსტომ გირგვლიანმა სამგლოვიარო „ზარი“, „წმინდაო ღმერთო“, „ჯგრიაგიშ“, „ბარბალ დოლაშ“ (სოფ. ბერი ვარიანტი), „ირინოლა-მარინოლა“, „ვიცბილ-მაცბილ“ შეასრულეს.

სვანეთიდან გადმოსახლებული ოჯახები არ წყვებენ კავშირს მთასთან, ზაფხულის დღესასწაულებზე ადიან ლატალში და უდაბნოშიც ცდილობენ მამაპატური ადათ-წესების შენარჩუნებას. ამასთან, სხვა კუთხებიდან მიგრირებული ოჯახები დაკრძალვისას სწორედ ამ სამგლოვიარო პიმნის შესრულებას ითხოვენ. ვფიქრობთ, მომავალში კარგი იქნებოდა მათ მუსიკალურ ფოლკლორში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებაც.

28 აგვისტოს დავესწარით სადღესასწაულო წირვას საგარეჯოს დოდო გარეჯელის სახელობის ტაძარში, შემდეგ ვეწვიეთ დვოისმშობლის მიძინების ტაძარს, გავესაუბრეთ მგალობლებს.

მრავლად გადავიდეთ სხვადასხვა მასალისაგან (აკაცია, თუთა, მსხალი) დამზადებული ფანდურები, რომელსაც აქ უმეტესად ჩინგურს ეძახიან.

მადლობას მოგახსენებთ საგარეჯოს კულტურის სახლის დირექტორს, ქალბატონ თინათინ მეზვრიშვილს და ყველა იმ ადამიანს, ვინც დახმარება გაგვიწია.

**ნინო მახარაძე**

საგელე-შემკრებლობითი მუშაობა

## ფოლკლორული ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში

2005 წლის 16-30 ივნისს იუნესკოს პროგრამის ფარგლებში მოწყო მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთის სამსოფელსა და ახალციხეში, რომელშიც მონაწილეობდნენ ტმკსც-ის თანამშრომლები: თინათინ უვანია, ქორვან მათიაშვილი და თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები: ნანა გოგოლაძე, ბაია ჭუშუნაძე და ნინო ნანეიშვილი.

ქართული ხალხური შემოქმედების კათედრაზე დაცულ საექსპედიციო ჩანაწერებს შორის, აქამდე, მესხეთ-ჯავახეთის მუსიკალური ყოფის ამსახველი მასალები არ მოიძებნებოდა. ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ექსპედიციის წევრების მიერ ციფრული წესით დაფიქსირებული 9 MD-სა (თითოეული ორსაათნახვარი ხანგრძლივობის) და 1056 ფოტოს.

როგორც ცნობილია, პირველი მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში 1933 წელს კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ, მეორე – 1949 წელს მუსიკისმცოდნებმ და ფოლკლორისტმა გრიგოლ ჩხიავაძემ მოაწყო. განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია კომპოზიტორ ვალერიან მაღრაძის მიერ გამუშავების ინტენსიური საველე სამუშაოები მასხეთ-ჯავახეთში.

სულ ახლახან, ტმკსც-ის პროექტის ცვილის ლილვაკებიდან ციფრულ მატარებლებზე გადატანილი შ. მშველიძის საექსპედიციო ჩანაწერები დიდად გაამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას მესხეთ-ჯავახეთის მუსიკალურ ფოლკლორზე.

მესხეთ-ჯავახეთის მუსიკალურ-ეთნიკური სურათის უკეთ შესაცნობად, მიზანშეწონილად



მიზო ტატურაშვილი და გაუა ხუციშვილი ხიზაბავრადან

მიგვაჩნია, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ზოგიერთ ფაქტს მისი წარსულიდან.

ისტორიულად მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორია იძერის სამეფოს ეკუთვნოდა და მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. იგი ქართლის განუყოფელი ნაწილი იყო. მის მოსახლეობას ეთნიკურად ქართველები შეადგენდნენ, რომლებიც ქართულად მეტყველებდნენ და ანთროპოლოგიური ტიპით, ყოფაცხოვრებითა და ზნებულებებით არაფრით განსხვავდებოდნენ შიდა და ქვემო ქართლის მოსახლეობისგან.

ისტორიულმა ავტენიორით XIII საუკუნიდან ბევრი რამ შეცვალა ამ მხარეში. ეს ცვლილებები სოციალურ-პოლიტიკურ, რელიგიურ და ეთნიკურ საკითხებს თანაბრად შეეხო. ირანისა და თურქების შემოსევების შემდეგ გამამადიანების პროცესი დაიწყო, რასაც მოპევა ქართველთა აყრა მშობლიური მიწაწყლიდან. ამ პერიოდში ხდება ქართველთა ნამოსახლარზე თურქ-სელჯუქების და ნაწილობრივ სომებთა ჩამოსახლება. გარკვეული დროის შემდეგ დაიწყო გრიგორიანული და კათოლიკური ეკლესიის ზრდა ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე. ამის მიუხედავად, მოსახლეობის მცირე ნაწილმა მაინც შეინარჩუნა კავშირი მართლმადიდებლურ ტრადიციებთან.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის მესხეთ-ჯავახეთში არზრუმიდან 100000 ლტოლვილი სომები ჩამოასახლეს. ამავდროულად აქ ჩასახლება იწყეს ქურთებმა, ბერძნებმა, დუხაბორებმა და სხვ.

1944 წელს მესხეთ-ჯავახეთიდან გასახლებული იქნა თურქულებნოვანი მოსახლეობა, გ.წ. „თურქი მესხები“, იმავე პერიოდიდან აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხებიდან (იმერეთიდან, აჭარიდან, სვანეთიდან) იწყეს ჩასახლება.



ნინა ოქრომელიძის ჩაწერა (მუსხი)

1960 წელს გრ. ჩხიკვაძე წერდა: „ორივე ქართველიციამ (ლაპარაკია შ. მშველიძის 1933 წლისა და გრ. ჩხიკვაძის 1949 წლის ქართველიციებზე) სასარგებლო მუშაობა ჩაატარა და თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ძვირფასი სასიმღერო მასალა ჩაიწერა. შეგროვილი მასალა, მიუხედავად სიმცირისა, თავისი ხასიათისა და შინაარსის მიხედვით გვაფიქრებინებს, რომ უფრო დაკვირვებული შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს მივაგნოთ ძვირფას ნიმუშებს, რომლებიც თავისი ფესვებით დაკავშირებული იქნებიან ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოები ცხოვრების შინაარსთან...“ (გრ. ჩხიკვაძე, „ქართული ხალხური სიმღერა“, 1960 წ., გვ.21-22).

იგივე შეიძლება ითქვას დღესაც. ჩვენს მიერ გამოკითხული 46 ეთნოფორმისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეიძლება დაგასკვნათ, რომ საკუთრივ მესხეური წარმოშობის სასიმღერო შემოქმედება ნაკლებადაა შემორჩენილი. სამაგიეროდ, დღემდე მოაღწია თავის დროზე ქალაქური ყოფიდან შემოსულმა და გავრცელებულმა აღმოსავლური შტოს ქართულმა ქალაქურმა სიმღერამ. „საიათონოურის“, „ბაიათის“, „იეთიმ გურჯის“ და სხვ. სახელწოდებებით სიმღერებს აქ არამარტო ხანდაზმულებისგან, არამედ ახალგაზრდებისგანაც ხშირად გაიღონებთ.

ახალციხეში ჩვენ შევხვდით მესხური მუსიკალური ტრადიციების საუკეთესო მცოდნებს, აწ განსვენებულ შოთა ალთუნაშვილს, პირვენებას, რომელმაც ათწლეულების მანძილზე უამრავ მესხს შესწავლა უპე მივიწყებული მესხეური სიმღერები. ანსამბლ „მესხეთის“ რეპერტუარში (რომლის ხელმძღვანელი თავადი იყო) მის მიერ არაერთი მესხეური სიმღერა დამუშავებული იქნა სამ ხმაში. როგორც ბ-ნ შოთამ აღნიშნა, ეს სიმღერები ხალხში ერთ ხმაში იმღერებოდა. ჩვენ მისგან სწორედ ეს ვარიანტები ჩავიწერეთ: „ოთხი წყარო სდის“, „მრავალეამიერ“, „გეგუთისა მინდორზედა“, „ვარძიობაძიობასა“ და სხვ.

როდესაც ქართველიციის მასალებს ვამჟავებდით, მათი დახარისხებისას რამდენიმე ისეთი პარამეტრი გამოყენებით, რაც ამ რეგიონისთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია. ერთეული მათგანი, იმის გამო რომ მრავალ ხმაში მღერის ტრადიცია მესხეურ მუზიკორებაში დაკარგულად ითვლება, ამ ტრადიციასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაციის თავმოყრად. ამ შერივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გამონათქვამები, რომლებიც ბანის ხმის ფუნქციას უკავშირდება. მაგალითად, „დამჯდარი“, „ბანზე ადევნება“ (იგულისხმება მელოდიითვის დაბალი ხმის შეწყობა)...

წარსულში მესხეთში გავრცელებული საკრავთა მწყობრის აღწერისას აწყვიტელი ზურაბ ივანიძე (81 წლისა) აღნიშნავს, რომ „ჭიჭილა“, „რომელსაც „მეისაც“ ეძახდნენ – ბანს აძლევდო, ან, „ორცა 3-4 თულუმი (გუდასტვირის მესხური სახელწოდება) ერთად უკრავდა, ერთ-ერთ მათგანს დაბალი ხმა გამოჰყავდაო“...

ექვედიციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია მესხური მუსიკალური ყოფისთვის ერთ დროს საკმაოდ დამახასიათებელი ნიმუშები. მაგ. „ოროველა“, რომელიც 97 წლის მუსხელი გიორგი ჯინჭელაძისგან ჩავიწერეთ. ფრიად ნიმდობლივია ის, რომ ნიმუში კილო-ინტონაციურად და კომპოზიციურად ქართლ-კახური „ოროველების“ მსგავსია.

რაც შეეხება მეორე ნიმუშს, როგორც ირკვევა, იგი უწინ საკმაოდ პოპულარული საცემაო ყოფილა მესხეთში. სრულდება სიმღერითა და ტაშით გლოსოლალიებზე: „დამ, დილილი, დილილო...“ უნდა ითქვას, რომ მსგავსად „ოროველასი“, ისიც ძალიან ახლოსაა საცემაოების ქართლ-კახურ ვარიანტებთან. ამ ნიმუშის საკმაოდ ორიგინალური სამხმიანი ვარიანტი იქნა ჩაწერილი ხიზაბავრელი მიტო ტატურაშვილის-აგან (63 წლის) აკორდეონის თანხლებით (ბანს და შუა ხმას უკრავდა აკორდეონზე).

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ძველ მესხურ რეპერტუარზე მოგვაწოდა მესხური ტრადიციების შესანიშნავმა მცოდნებ მუსხელმა მარიამ უუკუნაძემ (73 წლის). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობები მესხეური საფეხულო სიმღერის „ოქრომჭედელოს“ შესრულების ფორმასა და წესზე. ქ-მა მარიამმა დაუზარლად შეასწავლა ექსპედიციის წევრებს სიმღერა თვისი ფეხულით.

ძველი მესხეური ტრადიციების გამოძახილია ყოფაში დღემდე შემორჩენილი ერთლერიანი თვლებიანი ჩასაბერი საკრავი „სტვირი“. სამივე სოფელში აღმოჩნდნენ პიროვნებები, რომლებიც შესანიშნავად ამზადებენ და უკრავენ სტვირს. მუსხელი ვაჟა მელიქიძის (63 წლის), ვასო ივანიძის (65 წლის), აწყვიტელი გიორგი დიასამიძის (78 წლის), იღუშა ივანიძის (78 წლის), ხიზაბავრელი მიტო ტატურაშვილისგან ჩაწერილი სტვირის დამზადების წესი, თვლების რაოდენობა და განლაგება, მუსიკალურ-ინტონაციური შინაარსი ერთმანეთის მსგავსია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ძველი მესხეური ტრადიცია ჩასაბერი საკრავისა, რომელიც ამ რეგიონის ძირითადი სამეცნიერო საქმიანობის – მესაქონლეობის განუყოფლი ნაწილი იყო, დღემდე ცოცხლობს.

რაც შეეხება მესხეური მუსიკალური ყოფისთვის დღესდღეობით ყველაზე დამახასიათებელ რეპერტუარს. მართალია, ერთ დროს ქალაქიდან შემოჭრილ ზურნა-დუდუქსა და დოლ-გარმონს

ქართულ სოფლურ ყოფაში ისე ხშირად ვედარ შეხვდებით, მაგრამ მესხეთში იგი კვლავ აქტუალურია (თუმცა, ზოგიერთი ეთნოფორი ამ ტრადიციის გადავარდნაზეც საუბრობს). მაგალითად, სოფელ აწყვიტაში თითქმის ყველა ოჯახს თავისი „მუსიკოსი“ პყავს, რომლებიც ერთად უკრავენ და მდერიან საქორწილო და სხვადასხვა სალხინო სუფრებზე. ობიექტური მიზეზების გამო მათი ერთად შეკრება ვერ მოხერხდა. ასეთი ანსამბლის მხოლოდ ერთი წევრი ჩავიწერეთ – ოლეგ ივანიძე (46 წლის), რომელმაც თავის ვაჟთან და მეუღლესთან ერთად შეასრულა თანამედროვე ტიპის სიმღერები კ. წ. „საქორწილო“ რეპერტუარიდან: „რა ლამაზი ხარ, შენ, თუშის ქალო“, „როცა შენ დალალებს ქარი შლის“, „სიჭაბუკე და ახალგაზრდობა“ და სხვ.

განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია კ. წ. „მექორწილე მუსიკოსების“ ფრთის ვირტუოზი შემსრულებელი, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები მიზო ტატურაშვილი ხიზაბავრიდან, რომელიც შესანიშნავად ფლობს საკრავებს (დუდუკი, ზურნა, კლარინეტი, სხვადასხვა ტიპის სალამურები, აკორდეონი, ფანდური).

როგორც ზემოთ ითქვა, მესხეთ-ჯავახეთში ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. ცნობილია, რომ ადგილობრივი ქართველები მათდამი ყოველთვის კეთილმეზობლურად იყვნენ განწყობილი. მიუხდავად იმისა, რომ თურქულენოვანი მოსახლეობის წახვდიდან უკვე 60 წელია გასული, ყველას, ვისაც თავის დროზე მათთან ურთიერთობა ჰქონდა, დღესაც კარგად ახსოვთ თურქული ენა და სიმღერები.

განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია მუსხელი ანიკო უუუნაძისა (71 წლის) და აწყვიტელი ზურაბ ივანიძისაგან (81 წლის) ჩაწერილი ზღაპრის კითხვის წესი, სადაც ერთმანეთს ენაცვლება მონაკვეთები ქართულ და თურქულ ენაზე. ნიშანდობლივია ის, რომ თურქულ ენაზე სათქმელ კუპლეტებს ისინი თურქულ კილოზე ამღერებდნენ. წარსულში, როგორც ირკვევა, ამ კუპლეტებს აღმოსავლური სიმებიანი საკრავის, საზის თანხლებით ასრულებდნენ.

როგორც ცნობილია, ახალციხე ინტერნაციონალური ქალაქია. სხვადასხვა ეროვნებათა შორის ურთიერთპატივისცემა მესაკრავეთა ახასაბლის ეთიკაშიც ვლინდება. მაგ. ქორწილებში, ლხინთან თუ ჭირთან დაკავშირებით მედერი ქართველი და სომეხი ინსტრუმენტალისტების რეპერტუარი ორივე ეთნოსისთვის დამახასიათებელი ნიმუშებითაა წარმოდგენილი.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე სომეხ შემსრულებელთა ტრიომ

ახალციხიდან – არსენ მელიქიანის (45 წლის) – დუდუკი, ზურნა, კლარინეტი, ხაჩატურ აკოფიანის (45 წლის) – აკორდეონი, გარეგინ გეიანის (71 წლის) – დაირა, დოლი, ვოკალი – შემადგენლობით. დიდი ოსტატობითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა მათ მიერ შესრულებული სომხური დასაკრავები: „აქამ“, „მოვარიან დამეს“, „ედიშის ცეკვა“, „ქართული სიმღერა-დასაკრავი „ცივ ზამთარში“.

2005 წლის თოთხმებდღიანი ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში ინტენსიური საველე სამუშაოების დასაწყისი უნდა გახდეს ამ რეგიონში. ასეთ აუცილებლობას თვით მესხეთ-ჯავახეთში შექმნილი რეალური მდგომარეობა განაპირობებს. მხედველობაში გვაქს იმ ცოდნისა და გამოცდილების დროული მოვლა-პატრონობა, რასაც აქ მხოლოდ ხანდაზმული ადამიანები ატარებენ.

## თინათინ უგანია

# ფოლკლორული ექსპედიცია ხელვაჩაურის რაიონში (აჭარა)

2005 წლის აგვისტო-სექტემბერში იუნისპონს პროგრამის მხარდაჭერით მოეწყო ტმპსც-ის ექსპედიცია აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონში. მასში მონაწილეობდნენ ფოლკლორის კაოედრის თანამშრომლები – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნატო ზუმბაძე (ხელმძღვანელი), ლაბორაციი თოარ კაპანაძე, სტუდენტები – თეონა რეხაძე და სალომე ცეცხლაძე, ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდა ბიოფიზიკოსი, პროგრამისტი ლაშა მარტაშვილი.

ექსპედიციის მიზანი უშუალოდ ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში შემორჩენილი მუსიკალური მასალის ფიქსირება იყო. ორი კვირის განმავლობაში მოვიარეთ ათამდე სოფელი და ჩავიწერეთ დიდი რაოდენობით როგორც მუსიკალური, ისე სიტყვიერი მასალა, რამაც შეაღინა 7 მინიდისკი (თითო მათგანი 150 წერთამდე); გარდა ამისა, გადავიდეთ 300-მდე ფოტო და რამდენიმე ვიდეოკლიპი.

აჭარის რაიონებში, მათ შორის – მაჭახლის ხეობაში 1989 წელსაც მოეწყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ექსპედიცია ედიშერ გარეანიძის, ნატო ზუმბაძისა და ქეთევან ბაიაშვილის მონაწილეობით. როგორც გაირკვა, ადგილობრივ მოსახლეობას ჩვენი სტუმრობის დროსაც კარგად ახსოვდა აღნიშნული ექსპედიცის წევრები, მათ შორის, ქალბატონი ნატოც. ამიტომაც იყო, რომ ისედაც სტუმართმუყვარე აჭარლებმა განსაკუთრებული სითბოთი მიგვიღეს და არაფერი დაიშურეს ჩვენს დასახმარებლად.

წლევანდელი ექსპედიცია თავდაპირველად მაჭახლის ხეობის სოფელ ზემო ჩხუტუნეთს ესტუმრა და რამდენიმე არაჩვეულებრივი დღე გაატარა. შესანიშნავი მოხუცი მომღერლების – ხუსეინ (ვალიკო) ქობულაძის, ზაქრო ფერსელიძისა და სულეიმან (იაგო) ნაგერვაძისგან ჩავიწერეთ არაერთი აჭარული სოფლური სიმღერა („ნადური“, „მაყრული“, „ოსა“, „ნაი-ნაი“, „ნანინა“) და საკრავიერი ჰანგები; ასევე – ქალაქური ტიპის რამდენიმე ნიმუში. ციფრული ფოტოპარატის წყალობით მოვახერხეთ 82 წლის ვალიკო ქობულაძის ვირტუოზული ცეკვის გადაღებაც. ძირდებული აჭარული ცეკვის იღეთების ასეთ მცოდნეს დღეს იშვიათად თუ ნახავ. ზემო ჩხუტუნეთში სოფ. ქედქედიდან სპეციალურად გვესტუმრა ვლადიმერ არჯევანიძე, რომელიც შემსრულებლებს სხვადასხვა სიმღერაში დაქმარა. გარდა ამისა, მან ოსტატურად შეგვისრულა სხვადასხვა საფანდურო დასაკრავი. ზემო ჩხუტუნეთში მუსიკალურის გარდა, ჩავიწერეთ მნიშვნელოვანი სიტყვიერი ინფორმაცია ხმების სახელების, შესრულების ფორმის, სიმღერების წარმოშობის,

ტრადიციული რეპერტუარისა და სხვადასხვა რიტუალის შესახებ.

ვეწვიეთ ორ მეზობელ სოფელს – ქვემო ჩხუტუნეთსა და ჩიქუნეთს. მუსიკალური მასალა ქვემო ჩხუტუნეთში თითქმის ვერ მოვიძიეთ, თუმცა შევაგროვეთ საკმაო ოდენობის სიტყვიერი ინფორმაცია, მათ შორის – შელოცვები. ამას გარდა, შევხვდით ბატონ ჰაიდარ კახიძეს, რომელმაც უამრავი საინტერესო რამ გვიამბო აჭარულ სიმღერებზე, ცეკვებზე, საკრავებსა და ზოგადად მაჭახლის ხეობაში გავრცელებულ სხვადასხვა ტრადიციაზე.

ჩიქუნეთში ჩაწერილი მასალიდან გამოვყოფი 91 წლის ახმედ გაბრუშიძის მიერ გარმონზე შესრულებულ დასაკრავებს. აქვე გვინდა, ექსპედიციის სახელით მადლობა გადავუხადოთ ბატონ შოთა კორკიტაძეს, რომელიც ჩიქუნეთში ჩვენი დამკვალიანებელი იყო და თავადაც არაერთი საკრავიერი ჰანგი შეგვისრულა.

რამდენიმე დღე დავყავით კირნათსა და მარადიდში, სადაც ძირითადად საკრავიერი ჰანგები და ერთხმიანი სიმღერები ჩავიწერეთ. კირნათში შაქრო კახაბერიძისგან მოვისმინეთ დუდუკზე შესრულებული „ხორუმისა“ და „განდაგანას“ ძველი ვარიანტები, ასევე – რამდენიმე სასიმღერო ჰანგი. საინტერესო იყო მარადიდში ქალებისგან ჩაწერილი სიმღერები: „გელინო“, „ნაი-ნაი“, „შაირები“ და დასაკრავები ფანდურზე.

დაგვამახსოვრდა სტუმრობა ქამილ კახიძესთან სოფელ კობალეთში. ბატონი ქამილი, იმის გარდა, რომ კარგი შემსრულებელია, ენამახვილობითაც გამოირჩევა და ექსპედიციის წევრები ექსპრომტად შეთხული შაირებითაც „დაგვაჯილდოვა“. მისგან სხვადასხვა საკრავზე



ზაქრო ფერსელიძე, ხუსეინ ქობულაძე, სულეიმან ნაგერვაძე (ზედა ჩხუტუნეთი)



გახტანგ ხოროიშვილი (ზემო ჯოჭო)

(სალამური, დუდუკი, კლარნეტი) შესრულებული სასიმღერო და საკრავიერი პანგები ჩავიწერეთ. ბატონმა ქამილმა ჩვენთან ერთად რამდენიმე სიმღერაც შეასრულა.

სოფელ ურესში შეეხვდით გარმონის ოსტატს – ზურაბ ვარშანიძეს. ბატონი ზურაბის მიერ გაკეთებული გარმონები მართლაც არაჩვეულებრივი ჟღერადობით გამოირჩევა. ბატონი ზურაბისა და მისი ძმისგან (გურამ ვარშანიძე) ჩავიწერეთ ვირტუოზულად შესრულებული საცეკვაო ჰანგები.

საინტერესო იყო შეხვედრა ხოროიშვილების ოჯახთან სოფელ ზემო ჯოჭოში. გამოვყოფდი ოჯახის უფროსის, ვახტანგ ხოროიშვილის, მიერ ქემენჩაზე შესრულებულ დასაკრავებს, რადგან აჭარული დასაკრავები ამ საკრავზე თითქმის არ არის ჩაწერილი.

სამწუხაოოდ, ვერ მოვახერხეთ რამდენიმე შემსრულებლის ნახვა, მათ შორის, ვერ შეეხვდით სოფელ თხილნარში არსებულ მომდერალთა ჯგუფს. ადგილზე არ დაგვხდა ახალგაზრდა მეჭიბონე, რომელიც ადგილობრივთა თქმით, ერთადერთია მთელ რაიონში. ვერავისგან ჩავიწერეთ დასაკრავები ჩონგურზე, ვერავინ გვიმღერა აჭარული აკვის ნანაც. ეს გარემობა ნათლად მიუთითებს, რომ ამ რაიონში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა კუთხეში, ტრადიციული მუსიკალური შემოქმედება მივიწყების გზაზე. აქვე არ შემიძლია, სიხარულით არ გამოვეხმაურო მაჭახლის ხეობის უხუცესი მომღერლების სურვილს, შექმნან ამ ხეობის ფოლკლორული ანსამბლი. ამ გზით მართლაც ბევრი რამ გადაუჩება დავიწყებას.

ბოლოს მინდა, საგანგებოდ ადგნიშნო აჭარლების განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა, რომლის მსგავსი მართლაც იშვიათია. სწორედ ამან გამოიწვია ექსპედიციის წევრების დამეგობრება შემსრულებლებთან და მასპინძლებთან. აქვე მინდა, ექსპედიციის სახელით უდრმესი მადლობა გადავუხადო ხელვაჩაურის გამგეობის თანამშრომლებს, განსაკუთრებით, ბატონიაკობ აბაშიძეს, რომლის გარეშეც საქმაოდ გაგვიჭირდებოდა ექსპედიციის ჩატარება. მადლობას უქხდით ჩვენს ყველა მასპინძელს გულითადი მიღებისა და დაუზარებელი მეგზურობისთვის.

ოთარ ქაპანაძე

## „შენი სტილი უნდა გქონდეს. ვიღაცას რო დაბჯავრო და მიამსგავსო, ეს ნამდერი არ არი“

ინტერვიუ ცნობილ ლოტბარ ანდრო სიმაშვილთან

კახური სიმდერის შესანიშნავ შემსრულებელსა და ლოტბარს – ანდრო სიმაშვილს ამასწინანდელ ექსპედიციაში შეეხვდი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის პროექტზე მუშაობისას. ჩვენი პირველი ორსაათიანი საუბარი თელავში შედგა და სსენებული პროექტით გამოსაცემ მასალას ეხებოდა. ამის შემდეგ მია ანდროს მის მშობლიურ ართანაშიც ვეწვიე და ინტერვიუს საინტერესო მასალები შეემატა.

ანდრო სიმაშვილი მრავალი ღირსებით შემცული ნამდვილი ქართველი კაცია: საქუთარი სამშობლოსა და მისი ისტორიის შესანიშნავი მცოდნე, ბავშვივით დაუზარელი, არაჩვეულებრივი მასპინძელი, კარგი მოსაუბრე და მოქართულე 82 წლის მომღერალი კახური სიმდერის ცოცხალი მატიანეა. იგი სიყვარულითა და გატაცებით საუბრობს ქართულ სიმდერაზე და უმისოდ ყოფა ვერ წარმოუდგენია.

1952 წელს, როცა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორული ექსპედიცია გ. ჩხილავაძის ხელმძღვანელობით ართანაში იწერდა სიმდერებს, 29 წლის ანდრო ენისეელში იმუთიფებოდა (1949-1954 წლებში იგი ყვარლის რაიონის ამ სოფლის პროფესიულ სახავლებელში დირექტორის მოადგილე იყო კულტ-მასობრივ დარგში). მართალია, ჩაწერაზე არ ყოფილა, მაგრამ იცის, რომ მაშინ კანტორაში შექრებილან.

– ბიძაჩემი აბრია (აბრამ სიმაშვილი, 6. ზ.), თურმე, არ მივიდა, დაიმალა. ადრე, 1937 წელს რო მოსკოვში დეკადა იყო, მაშინ ვანო ჭკედლიშვილსა ქონდა დაგალებული ხალხის შერჩევა და ერთი წლით ადრე ჩამოვიდა, მოვიდა ჩვენსა, იქ ნახა, მოისმინა ბიძაჩემის სიმღერა – სტუმარი რო მოვიდოდა, მაშინ სუფრაზე მდეროდა კი არა, ცეცხლს ანთებდა! როცა ამ კაცმა უთხრა, რო შენა უნდა თბილისში წაგიყვანო და მერე იქიდან მოსკოვში წავალოთო, გათე-



ნებული არ იყო, რო აბრია ადგა ლოგინიდან, წავიდა და ერთი კვირა სახლში ადარ მოსულა. ის კაცი მთელი 3-4 დღე იყო თურმე ჩვენსა. აბრია გარედანა ზეერავდა და თუ გაიგებდა, ისევ აქ არიო, წავიდოდა და ვენახში, ქოხში ეძინა. იმ კაცს ისიც კი ეთქვა, რო შეიძლება ოპერაში გამოგიყვანოთ, გამდეროთო, მაგრამ აბრიას ეგ სულ არ აინტერესებდა: მე თუ არ წამოვწექი, აი, ეგრე, პლანის თავში და ვაზებს არ გავხედე ყურძნის მტევნები რო არი ჩამოკიდებული, იქ რა მინდაო, კაცო!

გიორგი სიმაშვილი ანდროს მამა ყოფილა, სოლომონ ჩახაური კი – მათი მეზობელი (სწორედ ისინი არიან სოლისტები 1952 წელს ართანაში ჩაწერილ სიმდერებში). გიორგის სტუმარი არა ჰყოლია, სოლომონი იქ არ ყოფილი იყო. სოლომონმა რამდენიმე სიმდერა იცოდა, ბევრი არა (მათ შორის, „ჩაკრულო“, „მოკლე მრავალეამიერი“). გიორგი უფრო I ხმას მდეროდა ხოლმე, სოლომონი – II-ს, მაგრამ ორივეს ორივე შეეძლო.

– სოლომონ ჩახაური „ჩაკრულოთი“ გავაცილეთ სამარის კარამდე, იმ სიმდერასა მდგროდა განსაკუთრებული, თავისებური კოლორიტით.

– ჩვენ ოჯახში „მოკლე მრავალეამიერით“ იხსნებოდა გრძელი სუფრა (სტუმრები რო ბევრი გვყვადა). ბოლოს კონცერტსაც ამითა ვხსნიდით. სუფრაზე 4-5 პირი მომდერლები იყვნენ ხოლმე. სიმდერას ბოლომდე კი არ ათქმევინებდნენ, წართმევაზე იყო საქმე, მერე ვიდაცა დაამთავრებდა.

ძია ანდრო „მოკლე მრავალეამიერის“ ძველ საექსპედიციო ჩანაწერს ისმენს და მისი დამთავრების შემდეგ აგრძელებს I (მაღალ) ხმას, სალოტბარო სკოლის მოხწავლე კი II-ს ეუბნება.

– ეს დასასრული აკლია ჩანაწერს, სხვა მომდერლები თუ იყვნენ სუფრაზე, ასე დაასრულებდნენ.

– დაახლოებით ერთი 50-მდე სიმდერა იცოდნენ სუფრაზე და მეტი გელარ ეხარჯებოდათ ხოლმე – ერთი სადღეგრძელო, ერთი სიმდერა, ერთი სადღეგრძელო, ერთი სიმდერა. . .

### – რა სიმდერები იყო მაგდენი?

– „მოკლე მრავალეამიერით“ იწყებოდა, მერე გადადიოდნენ „გრძელ მრავალეამიერზე“ და „ჩაკრულოზე“, მერე იყო „შაშვი-კაბი“, „ბერი კაცი ვარ“, „გუშინ შვიდი გურჯანელი“. ერთი კიდე, ბიძახემი მდეროდა ხოლმე და, სხვათა შორის, განსაკუთრებული სტილის სიმდერაა, „შუშუნა წვიმას“ მოტივზე და ისა მდეროდა „კარგი კაცისა ცოლობა რად გიხარიან ქალაოთ“. ძალიან ისე, ვარიაციებით ამდიდრებდა (მღერის I, II და III ხებს).

ანდრო სიმაშვილის წინაპრები ფშავლები ყოფილან, თანახთის რაონის სოფელ არტნიდან. იქაური ხალხი მე-17 საუკუნის II ნახევარში ჩამოსახლებულა კახეთში და სოფლის სახელიც თან წამოუდია.

– ჩემი წინაპრისათვის ეს ადგილები მოუციათ დასასახლებლად. რო ჩამოსახლებულა, იქვე ქრისტეს სახელზე ეკლესია აუგია, ღვთაება ჰქვიან („სიმართლე ღვთაება“, – ასეა აღრიცხული), ასეთი საგარეულო ეკლესია გვაქ. ერთ დროს, ალბათ, დიდი გვარიც იქნებოდა...

– ძველად ართანაში ყარალაშვილები ყოფილან მომდერლები, ორი ოჯახი – ბიძაშვილები. სტუმრები რო ყავდათ, მამაჩემი და ბიძაჩემი სულ იქ იყვნენ. მე არ მოვსწრებივარ, 1924 წელს გაასახლეს. მამაჩემს მარტო ყარალაშვილებისგან კი არა, სხვა მომდერლებისგანაც უსწავლია სიმდერა. ბიძაჩემი აბრია მდეროდა ფარნაოზ ყარალაშვილთან. ისეთი ხმა ქონდა ფარნაოზს, ჩემი ხმა რა მოსატანიაო, – იტყოდა ხოლმე. თითონ აბრიას 3 დღე რო ემდერა, ხმა არ ჩაუგარდებოდა და არც იღლებოდა. კარგი მსმელიც იყო, კარგი მშრომელი კაცი.

ართანაში ანსამბლი ანდროს უფროსმა მმამ – მიხეილმა ჩამოაყალიბა. 100-მდე სიმდერა ჰქონიათ დამუშავებული – ძველი და საბჭოური...

ჩემთან საუბრისას მია ანდრო თან მდერის: იწყებს, მაღალზეც გადადის და ბანსაც მიჩვენებს – ისე, როგორც ხალხური სიმდერის ნამდვილ ოსტატებს სხვევიათ. თხრობისას ხშირად ასესენებს ხმებს – I-ს, II-ს, ამიტომ დავაზუსტებინე, რომელია I და ომელი – II, და ომელ სიმდერას რომელი მათგანი იწყებს. I-ს მაღალს ხმას ეძახის, II-ს კი – შუას, სიმაღლით საშუალოს. საუბარი მდერის სტილსაც შეეხო.

შენი სტილი უნდა გქონდეს. ვიდაცას რო დააჯავრო და მიამსგავსო, ეს ნამდერი არ არი. გონაშვილის ხმას, ნამდერალს ადამიანი სადაც გინდა, იქ ცნობს, მაგრამ მე დიდი წინააღმდეგი ვარ, იმას დაამსგავსო.

— ანდრო ძია, თქვენი თაობის კაცი თუ არის ვინმე, რომ თქვენსავით მღეროდეს და სხვა ხმა გითხრათ?

— ართანაში ორი კაცი დამრჩა ჩვენი ან-სამბლიდან. კარგად მდერიან I-II-ს (ერთ-ერთი ჩემი ნამოწაფარია სკოლაში), მაგრამ იმ ერთსაც რადაცა ტრაგედია შეემთხვა...

ვათილდან დადის ერთი კაცი აქა, თელავში, I ხმას მდერის, მხოლოდ პატარა ხმა აქა, სუსტი... უშანგი შარვაშიძეა, 75 წლის კაცი.

ანდრო ძია თელავში ბავშვებსაც ამეცა-დინებს, პარასკევასა და შაბათს, არ უნდა, სწავლაში ხელი შეუშალოს. მიაჩნია, რომ ბავშვებს სასწავლო პროცესი არ უნდა დაერღვეთ, ისევ თვითონ „უნდა შეიწუხოს თავი“.

ანდრო სიმაშვილი 1923 წლის 6 ოქტომბერს დაბადებულია ართანაში.

— 30-იან წლებამდე ზოგიერთი მომენტები სიზმარივით მასხველი. მასხველი ის ამბავი, რო ჩვენ სახლში სტუმრები მოდიოდნენ ხოლმე და იყო სიმღერაცა და ქიოფიც, დროსტარებაც. თელავში რო შეხვდებოდნენ ერთმანეთს ნაცნობები, ნათესავები, მეგობრები მამაჩემის, პაპაჩემის, დაელაპარაკებოდნენ, კაცო, რა ხანია სიმაანთს არა ვეოფილვართ, მოდი ერთი, გავუაროთ იმ ხალხსო, იქვე ფაიტონს ნახავდნენ, ჩასხდებოდნენ და მოვიდოდნენ. იმ დროს უველაფერს ბარაქა ქონდა. არ დაყოვნდებოდნენ მამაბიძები...

— თქვენს პატარაობაში ალილოზე თუ დადიოდნენ?

— წინა საღამოს დადიოდნენ ხოლმე პა-ტარა ბიჭები, მწყემსი ბიჭები (ზოგი მეღორე იყო, ზოგი — მეცხვარე, ზოგი — მსხვილფეხა პირუტყვის მწყებისი). საღამოი ჩამოივლიდნენ ხოლმე, თავისებურათა მდეროდნენ, უბრალო „ალილო“ იცოდნენ, მაინცდამაინც საინტერესო არ იყო.

— ეხლა რომ არის ართანული „ალილო“, ისეთი თუ მოგისმენიათ ძევლად?

— აი, როგორ მოვისმინე: ეს იყო 1930 წელი. შობა თენდებოდა. მამაჩემი ადგა, თურმე, სუფრა უნდა გააწყონ, გაამზადონ. ეზოში ძაღლმა დაიწყო უფას. გამეღვიძა. ვიდაცეები მოვიდნენ, ბალკომზე შემოვიდნენ, დაიძახეს „აგაშენოთ, აგა-შენოთ!“ და დაიწყეს „ალილო“. ეს „ალილო“ იმდენად ჩამრჩა გულში, რო როცა პირველად მოვისმინე გონაშვილის ხმა, სიმღერა რადიოში, ვიფირება, კაცო, ნება ის კაცი ხო არ გაცოცხლდა-მეთქი. სამი კაცი მოვიდნენ. ახალგაზრდები იყვნენ, ალბათ, 40 წლის ასაკამდე, არცკი. რო დაიწყო „ალილო“, სანამ დასაწყისი (სოლო, ნ. ზ.) ჩამოათავა, ბიძაჩემი და მამაჩემიც გავიდნენ კარებში, დაუდგნენ გვერდზე და ბიძაჩემია I ხმა უთხრა, აბრიამ, დანარჩენებმა — ბანი (პაპაჩემი

შიგნით იყო და იქიდან ამბობდა ბანსა). სუფრა უკვე გაშლილი იყო, გამზადებული. იმ დღისით, არ ვიცი, ერთი 7-ჯერ იმღერეს „ალილო“. იმღერეს, მერე მეზობლებთან გადავიდნენ, იმათაც უმღერეს, თითო ჭიქით დალოცეს თჯახი და წავიდნენ. მე ძალიან ჩამრჩა ეს გუნებაში. მერე იწყება კოლექტივიზაციის პერიოდი. თანდათან ეს ძველი სარიტუალო ამბები უკან იხევს. მოდის რევოლუციური სიმღერები.

— მერე უკვე ადარ დადიოდნენ?

— დადიოდნენ, მაგრამ ერთი სიმღერა იყო — „ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიდო მოამაგევ“ და იმ მოტივზე მდეროდნენ „ალილოს“. ეხლა კიდე მოვლენ და „ალილო, ალილო, ალილო“ (დაიძახებენ, ნ. ზ.) და ეგ არი, გარბიან.

— 1966 წელი უნდა ყოფილიყო. ნაფარეულელი საშა ჩიკვაიძე (ისიც კარგი მომღერალი კაცი იყო, სხვათა შორის, ბიძაჩემი და ის პარტნიორები იყვნენ და ძალიან კარგად მდეროდნენ ერთმანეთში) მოვიდა მამაჩემის სანახავად. სუფრა გავშალეთ, ჩვეულებრივ, დასხდნენ და იგონებენ წარსულს, ძველებურს და საშამ უთხრა: აბრი, მოდი ერთი, „ალილო“ ვიმღეროთ, კაცო, რამდენი ხანია, არ გვიმღერიათ. იმღერეს ამათ ეს „ალილო“. იმ ღამეს რაღაცა დამემართა, ამეკვიაბა ეს მეღოდია, ძილში თანდათან ვიხსენებ თითეულ ნიუასს — როგორი იყო ჩასხლა, როგორ არი გადასვლა. მეორე დღეს ვენახში წავედი, თანა უმუშაობ და თან ეს პერსევერაცია დამემართა. ვერაფრით ვერ მოვიცილე. იქვე, ვენახის მეზობლად იოსები ცხოვრობდა, ჩახუტაშვილი (ჩემი პარტნიორი იყო, ჩემთან ერთად მდეროდა ანსამბლში, ნათლიმამები ვიყავით ერთმანეთისა). გადავედი იმასთან და ვუთხარი, ეგეთი ამბავია და ეს „ალილო“ უნდა აღვადგინოთ-მეთქი. I ხმა დავამუშავე, ვიცი, მაგრამ II ხმა, ორი თუ არა ვართ, იგრე... სანამ დამავიწყდება ეს მეღოდია, უნდა აღვადგინოთ. მზის ჩასვლამდე ეგრე მწვანეზე ვართ წამოწოლილი და ვლილინებთ ჩვენთვის და, როგორც იყო,



ინტერვიუ ანდრო სიმაშვილთან

გავმართეთ ეს I-II ხმა. მეორე დღეს აქ მეცადინეობა გვქონდა, ჩემი ძმა ჩამოვიდა თელავიდან, მიხეილი: მოვიდა და მოვასმენიერ „ალილო“. ერთ-ორ ადგილას შეგვისწორა.

— **ანდრო ძია, ადგილმასთან დაკავშირებით მეტად რა იცოდნენ?**

— ჩემი მამა და ბიძები იმ ეკლესიას („დვთაებას“, ნ. ზ.) შემოუვლიდნენ ხოლმე სიმღერით „ქრისტე ადგა მკვდრეთით“ (ამბობს I ხმას, შემდეგ — II-სა და ბანსაც). სხვათა შორის, საგალობელივით არის ეგ, მაგრამ რაკი ქრისტეს სახელზე იყო ეს ეკლესია აშენებული, ამ სიმღერით შემოუვლიდნენ ხოლმე სამჯერ. მერე იქვე სუფრას გაშლიდნენ. იმდერებოდა, ჩვეულებრივ, სუფრული სიმღერები.

— **რაიმე ფერხულს ხომ არ აბამდნენ ადგილმისას?**

— არა, აქ ეგენი არ იცოდნენ, მაგრამ ერთხელ მე და ჩემმა მმებმა ვიმდერეთ „შავლებო“ და მამაჩემმა გვითხრა, ეგა საფერხული სიმღერაა, რო დამთავრდება, მერე ფერხულზე გადადიოდაო (მდერის I, II და III ხმებს).

— **სხვა საფერხულო სიმღერა ხომ არ გაგიგიათ?**

— სცენაზე ვაკეთებდით ხოლმე „ვისია, ვისიას“. ესეც მერე დაებმებოდა, სიმღერა რო ჩამოთავდებოდა: „აბა, ბიჭო დაუარე, ჰე, ჰე/ ფერხული ჩამოუარე, ჰე, ჰე... ამაში, იყო ვინმე ირაკლი ხმალაძე, ქორეოგრაფი, და ის მომებმარა ჩემ ანსამბლში (მაშინ მე არ ვიცოდი ფერხულის ამბები): ჩამოვიდა, ერთი რამდენიმე დღე იყო ენისელში და იქ გავაკეთეთ.

— **უამინდობა რომ იყო ხოლმე, რა იცოდით იმ დროს?**

— გონჯაობა. ჩამოივლიდნენ დედაკაცები, მოხუცები, როცა ხშირი წვიმები იყო, რაღაცა კუკლასავით იმას გააკეთებდნენ, დადგუბოდნენ და მღეროდნენ: „გონჯაობაზე დავდივართ, გონჯავ, გვიწყალეო, / აღარ გვინდა ტა-

ლახი, აეხლა გვინდა კორახი“... ბანი არ ქონდა, ერთ ხმაში მდეროდნენ. განა აწყობილი სიმღერა იყო, ყველა თავის ხმაზე ამბობდა. ხალხი რადაცას გაუტანდა. გვალვის დროს ნაფარეულელებმა ერთხელ გუთანი ჩადეს წყალში, შიგ დედაკაცები შეებინენ და დმერთს უგალობდნენ ვითომ: „აღარ გვინდა კორახი, ეხლა გვინდა ტალახიო!“

— **ეს გონჯა თოჯინას ერქვა?**

— ალბათ, იმიტო რო მახინჯი უნდა ყოფილიყო, არც კაცი იყო, არც ქალი, რაღაც ძველმანებს ჩააცმევდნენ, ან დიდი წვერები ქონდა, ზოგს — ულვაშები.

— **მიცვალებულზე ტირილი ხომ თქვენთანაც იციან?**

— ბანით ტირილი იცოდნენ. ზოგი ოსტატი იყო მაგეებისა. იყო ერთი-ორი ქალი და ისინიც დაიხოცნენ. კარგად მოთქვამდნენ. ბანის მთქმელებიც იყვნენ, კარგი მთქმელები. თუ ვინმე აურევდა, პირზე ხელს მიაფარებდნენ. გააჩუმებდნენ. უბანოთ არ იტირებდნენ. ერთი რო დამთავრებდა, ახლა მეორე გააგრძელებდა, მესამე, მეოთხე. მაგრამ ამ ბოლო დროს შემოღეს, იმ მიცვალებულს კი არ ტირიან, ყველა თავის მკვდარსა ტირის, მაინც ტირილიაო!

ბოლო დროს ძია ანდრო, როგორც თვითონ გვითხრა, „სხვა რადაცებითაც დაინტერესებულა“ — შეუქმნია სიმღერა ხალხური მასალის (მაგალითად, თუშური „დალაობის“ რიტუალის) საფუძველზე. ტრადიციულისაგან განსხვავებით, მისი სიმღერა 3-ხმიანია. აქვს მეორე სიმღერაც — „არაგველების ლაშქრული“...

საუბარს დასასრული არ უჩანს. კითხვას პასუხი მოსდევა, პასუხს — სიმღერა, სიმღერას — ფერხული და ისევ თავიდან. ან კი რა გასაკვირია: ანდრო სიმაშვილი ხომ სიმღერით სულდგმულობს!

ერთი ქართული ხალხური სიმღერა

ვახტანგური  
Vakhtanguri

## ნოტებზე გადაიღო ოთარ კაპანაძემ

Sheet music for a choral piece featuring four voices (Soprano, Alto, Tenor, Bass) in a 4-part setting. The vocal parts are arranged in a 2x2 grid. The Soprano and Alto parts are on the top two staves, while the Tenor and Bass parts are on the bottom two staves. The music consists of several measures of musical notation with corresponding lyrics written below each staff.

**Measures 1-4:**

- Soprano: *o bo e*
- Alto: *de - II - a*
- Tenor: *de - II - a*
- Bass: *de - II - a*

**Measures 5-8:**

- Soprano: *mo - qu - de - ga*
- Alto: *de - II - a*
- Tenor: *de - II - a*
- Bass: *de - II - a*

**Measures 9-12:**

- Soprano: *mo - qu - ga - ga  
di - da u - do vas - di - la*
- Alto: *de - ga - ga - ga  
di - da u - do vas - di - la*
- Tenor: *de - ga - ga - ga  
di - da u - do vas - di - la*
- Bass: *vov - de - II - a*

**Measures 13-16:**

- Soprano: *mo - qu - ga - ga  
di - da u - do vas - di - la*
- Alto: *mo - qu - ga - ga  
di - da u - do vas - di - la*
- Tenor: *mo - qu - ga - ga  
di - da u - do vas - di - la*
- Bass: *mo - qu - ga - ga  
di - da u - do vas - di - la*

**Measures 17-20:**

- Soprano: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Alto: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Tenor: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Bass: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma - va*

**Measures 21-24:**

- Soprano: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Alto: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Tenor: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Bass: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma - va*

**Measures 25-28:**

- Soprano: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Alto: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Tenor: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Bass: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma - va*

**Measures 29-32:**

- Soprano: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Alto: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Tenor: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Bass: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma - va*

**Measures 33-36:**

- Soprano: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Alto: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Tenor: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Bass: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma - va*

**Measures 37-40:**

- Soprano: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Alto: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Tenor: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma*
- Bass: *ba - ba - ba - ba  
ba - si - ma - va*